პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

30 ივნისი 1938 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო | ფასი 30 კაპ. № 16 (71)

ეროვნული ბიბლიოთეკა
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა



მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხის და მოწინავე კაცობრიობის დაუძინებელმა მტრებმა—ტროცკისტულ-ბუხარინელ გარეწრებმა ვერაგულად მოჰკლეს სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებელი, უდიდესი მხატვარი და ჰუმანისტი—**მაქსიმ გორკი.**

გორკი იყო სოციალისტური კულტურის უდიდესი შემომქმედი, უბრწყინვალესი მწერალი - მხატვარი, რევოლუციური კლასისა, გორკი იყო განთავისუფლებული ადამიანის, ნათელი საკაცობრიო კულტურის დიდი მომღერალი და შემომქმედი. გორკის უყვარდა ადამიანი, დიდად აფასებდა მას, უმღერიდა მის საუკეთესო თვისებებს, ზრდიდა მასში პროლეტარულ მებრძოლს, ბოლშევიკს. იგი იყო დიდ ბელადების **ლენინისა** და **სტალინის** თანმიმდევარი და შეუდრეკელი თანამებრძოლი, რომელსაც თავისი მგზნებარე სიტყვით არა ერთხელ უთქვამს მთელი ქვეყნის წინაშე, რომ მხოლოდ ბოლშევიკების პარტია ანხორციელებს მოწინავე კაცობრიობის მისწრაფებებს, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს მთელ მსოფლიოსთვისო.

გორკი საქმით და სიტყვით წინალუდგა, დაუნდობლად შეებრძოლა ფაშისტ ნაძირალებს, მათ მხეცურ ბარბაროსულ მოქმედებას. ამისათვის იძიეს ამ ბარბაროსებმა შური მაქსიმ გორკიზე. მოჰკლეს ჩვენი ეპოქის დიდი ჰუმანისტი - მწერალი, ახალი სოციალისტური კულტურის დიდი შემომქმედი. და ამ საშინელ ბოროტმოქმედებით ერთხელ კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ ფაშისტები — ტროცკისტულ - ბუხარინელი გარეწრები კულტურის უბოროტესი მტრები არიან.

მხატვრული სიტყვის გენიალური ოსტატი გორკი წარსული საუკუნეების სხვა გიგანტ მწერლებისაგან განსხვავდება იმით, რომ მან მთელი თავისი შემოქმედება მოახმარა მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლებას ძალადობისა და ექსპლოატაციისაგან, რომ იგი მთელი თავისი ხელოვნებით იბრძოდა სოციალიზმის, კომუნისტური საზოგადოების გამარჯვებისთვის.

სოციალისტური ლიტერატურის პირველმა კლასიკოსმა გორკიმ თვითმპყრობელობის, კაპიტალიზმის ბატონობის პირობებში შექმნა შესანიშნავი ნაწარმოებები („თომა გორდეევი", „დედა", „მტრები", „ნაძირალნი" და სხვ.) და ამით პრაქტიკულად დაამტკიცა სიყალბე ტროცკისტულ - მენშევიკური ლაყბობისა, რომელიც ამბობდა, თითქოს პროლეტარიატი უნდა ყოფილიყო ბურჟუაზიული კულტურის მხოლოდ მომხმარებელი და არა ახალი კულტურის შემომქმედი.

გორკის წიგნები სახეებისა და სურათების უმდიდრესი ენციკლოპედიაა, სადაც მთელი მრავალფეროვანებით არის ნაჩვენები სინამდვილე, სადაც წარმოდგენილია ყველა კლასი და საზოგადოებრივი ფენა, მაგრამ რომელ კლასსაც, რომელ ფენასაც არ უნდა გვიჩვენებდეს რაზედაც არ უნდა სწერდეს იგი, ლიტერატურის რა ჟანრსაც და ფორმასაც არ უნდა მიმართავდეს, ყველგან გორკი ცხოვრების მოვლენებს უდგება, როგორც ნამდვილი პროლეტარული რევოლუციონერი.

რევოლუციის დიდი ოსტატი, მგზნებარე მებრძოლი გორკი შორს იდგა ვიწრო შეზღუდული ტენდენციური მწერლობისაგან. პირველ ყოვლისა, იგი იყო დიდი მხატვარი, რომელიც ყოველთვის პოულობდა მკვეთრს გამოსახვითს საშუალებებს თავისი რევოლუციური იდეების გამოსახატავად. განსაცვიფრებელია გორკის მხატვრულ სახეებში მოცემული იდეების სიმდიდრე, მის მიერ შექმნილი ყოველი ხასიათი ანხორციელებს მრავალი ათას ადამიანის აზრებს და გრძნობებს. გორკის მიერ შექმნილი ყოველი ხასიათი გამოხატავს რუსეთის ისტორიის განვითარების მთელ ეტაპს.

გორკიმ მწერლობაში მოიტანა ახალი კლასის მსოფლშეგრძნობა და შემეცნება, მისი იმედი და სიხარული. გორკიმ დაგვანახა კაპიტალიზმის მხეცური სახე, გამოამჟღავნა მეშჩანობის არარაობა, აბილა ბურჟუაზიულ - მეშჩანური ინტელიგენციის იდეურ-მორალური სივიწროვე და შეზღუდულობა. მთელი თავისი ძალიერებით ამხელდა რა ძველ ქვეყანას, მხატვრული სისრულით გვიჩვენებდა რა სიღატაკისა და ექსპლოატაციის სამყაროს, სადაც ბრძანებლობდნენ „მგლისა და ლორის ჯიშნარევი ადამიანები", გორკი მკითხველ მასებში აღვივებდა და ზრდიდა სიძულილს ძველი ქვეყნისადმი.

გორკიმ შექმნა ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში წარმოშობილი ტიპებისა და ხასიათების მთელი გალერეა. „თომა გორდეევს", „არტამონოვების საქმეს", „მათე კოჟემიაკინს", „ეგორ ბულიჩევს", „კლიმ სამგინის ცხოვრებას" და გორკის სხვა მრავალ ნაწარმოებს მზის სინათლეზე გამოაქვთ ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი უმსგავსობა, სიბილწე, ყალთაბანდობა და ცბიერება. ამ ნაწარმოებებში გორკი დაუნდობელია ბურჟუაზიის მიმართ, იგი არაფრის წინაშე არ ჩერდება რათა სთქვას სიმართლე ამ მოძალადეთა, მტაცებელთა, ჯიბე და მუცელ გასქელებულთა შესახებ. ადამიანის დამონებაზე, დამცირებაზე, ნამდვილ ადამიანურ გრძნობათა ჩაქოლვაზე დაფუძნებული საზოგადოება უნდა განადგურდეს, უნდა მოისპოს,—აი ის ერთად - ერთი აზრი, რომელსაც ნერვავს და ზრდის გორკი მკითხველში ამ ნაწარმოებებით.

გორკი ოპტიმისტი მწერალია. მან მთელი სისრულით შეიცნო ძალადობისა და ექსპლოატაციის სამყარო და მისი დაღუპვის აუცილებლობა. მუშათა კლასისათვის ყველაზე უმძიმეს წლებში გორკი არ შეუპყრია სევდიან და უიმედო განწყობილებას. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაწერილი რომანი „დედა" გორკის ახალი შეუპოვარი შებრძოლება იყო რეაქციასთან. „დედამ" ახალი ძალითა და მხნეობით აღჭურვა ბრძოლაში დაქანცულები, ფეხზე დააყენა მებრძოლნა ახალი რაზმები. ამიტომ შედის ბოლშევიზმის ისტორიაში ეს ნაწარმოები, როგორც მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა.

გორკი თავისი მოღვაწეობის პირველ დღეებიდან სულის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე პოლიტიკური ამბების, რევოლუციური ბრძოლის ცენტრში იდგა, როგორც ამ ბრძოლის ერთ - ერთი ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი. იგი მუდამ მზად იყო გაეღო მსხვერპლი, თუ კი ამას მშრომელთა განთავისუფლების საქმე მოითხოვდა. იგი არა ერთხელ მჯდარა საპატიმროში თვითმპყრობელობის ბატონობის დროს. მას არა ერთხელ განუცდია დევნა, შეიწროება ძველი ქვეყნის მოიცქულთაგან, მაგრამ ვერაფერმა მოდრიკა იგი, ვერავითარმა ძალამ ვერ შეაჩერა მისი გაბედული ნაბიჯი დიდი რევოლუციური მიზნებისაკენ. ახალი კულტურის დიდი ოსტატი, დიდი მხატვარი, გენიალური მწერალი - ჰუმანისტი გორკი განუწყვეტელ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ ბრძოლაში და თავის დიდ ხელოვნებას მუდამ უმორჩილებდა პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის ამოცანებს, ჰუმათა კლასთან, რევოლუციურ ხალხთან ამ განუწყვეტელმა მჭიდრო კავშირმა მისცა ესოდენი სიცხოველე და სიცოცხლის ძალა გორკის მთელ შემოქმედებას.

მშრომელი კაცობრიობის მთელი თაობები იზრდებოდნენ და კვლავაც აღიზრდებიან გორკის დიად ნაწარმოებებზე, ისწავლიან მის წიგნებში შეურიგებელ სიძულილს ძველი სამყაროსადმი და მედგარ გმირულ სიყვარულს ახალი სოციალისტური საზოგადოებისადმი. გორკის ლიტერატურული სკოლა იყო, არის და იქნება რევოლუციური სკოლაც, რომელიც სოციალიზმს, ბოლშევიზმს, საბჭოთა ქვეყანას და მთელ მსოფლიოს მებრძოლთა ახალ და ახალ კადრებს აღუზრდის.

ხალხისა და კულტურის უბოროტესმა მტრებმა მოჰკლეს მაქსიმ გორკი, მაგრამ ეს მუხანათური მზაკვრული აქტი ვერ მოჰკლავს მის შემოქმედებას, ვერ შესწყვეტს მის დიად ნაწარმოებთა სიცოცხლეს. მისი უკვდავი შემოქმედება გაუძლებს და დასძლევს საუკუნეებს. კაცობრიობა ისევ და ისევ დაუბრუნდება მის გენიალურ მემკვიდრეობას, რომ კვლავ მიიღოს ახალი ძალა ბრძოლისა იმ საქმისათვის, რომელსაც გორკიმ შეალია თავისი შესანიშნავი ცხოვრება.

მოსკოვი, კრემლი

სკპ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი— ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XI ყრილობა გიძღვნით თქვენ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს, სოციალიზმის ქვეყნის ბრძენ მესაჭეს — მგზნებარე ბოლშევიკურ სალამს.

ჩვენი ყრილობა შეიკრიბა იმ მომენტში, როცა საქართველოს ბოლშევიკები მთელ ქართველ ხალხთან ერთად ზეიმობენ კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, როცა ქართველი ხალხი განიცდის უდიდეს ბედნიერებას მით, რომ თქვენ ჰყევხართ პირველ რჩეულად თავის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი და თქვენი ბრძნული მითითებანი პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებისა და ტროცკისტთა და სხვათა ორგულთა ლიკვიდაციის ღონისძიებების შესახებ, გადაიქცა საქართველოს ბოლშევიკებისათვის ისე, როგორც მთელი ჩვენი პარტიისათვის, მუშაობის საბრძოლო პროგრამად.

საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, თქვენი, ამხანაგო **სტალინ,** ბრძნული წინამძღოლობით, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ) გამოამჟღავნა და გაანადგურა ტროცკისტ-ბუხარინელთა და ფაშიზმის სხვა აგენტთა, ჯაშუშთა, დივერსანტთა და მავნებელთა მტრული ბუდეები, აღზარდა და ხელმძღვანელობის სათავეში დაიყენა მრავალრიცხოვანი ახალი კადრები პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებისა, რომლებიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან **ლენინ-სტალინის** საქმისა, განამტკიცა კავშირი მშრომელთა უფართოეს მასებთან, გაშალა ბრძოლა მავნებლობის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის და მივიდა თავის XI ყრილობაზე კიდევ უფრო განმტკიცებული, მონოლიტური, რკინის რიგებად დარაზმული საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ, დიდი **სტალინის** ირგვლივ.

ჩატარებულმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა საქართველოს ყველა პარტორგანიზაციაში გვიჩვენა კომუნისტთა პოლიტიკური აქტივობის დიდი ზრდა, კრებები ჩატარდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ახალი აღმავლობის ვითარებაში, გაშლილი ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ცხადჰყვეს ურღვევი ერთიანობა და შემჭიდროება ქართველი ხალხისა **ლენინ-სტალინის** პარტიის ირგვლივ.

მიდიოდა რა თავისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებზე, ქართველ ხალხს, აღფრთოვანებულს თქვენი თანხმობით კენჭი გეყოთათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე, თავის გულში ჰქონდა უსაზღვრო ერთგულების, სიყვარულისა და მადლობის გრძნობა თქვენდამი, ძვირფასო და მშობლიურო ამხანაგო **სტალინ** — სსრკ ხალხთა საამური, ბედნიერი ცხოვრების შემოქმედისადმი, მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული სოციალისტური კონსტიტუციის შემოქმედისადმი.

ყველა ამომრჩეველთა 99-ზე მეტმა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, მათ შორის 99,6 პროცენტმა ხმა მისცა კომუნისტთა და უპარტიოთა უძლეველი სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

გვახსოვს და არასოდეს არ დავივიწყებთ რა თქვენს მითითებებს კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, საქართველოს ბოლშევიკები კიდევ უფრო გამაძლიერებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, რათა გამხილოთ და საბოლოოდ მოვსპოთ პარტიისა და ხალხის გამოდგურებული მტრების ნაშთები, კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ პოლიტიკური მუშაობა მშრომელთა შორის.

შეიკრიბნენ რა თავის XI ყრილობაზე, საქართველოს ბოლშევიკები ლენინურ-სტალინური პირდაპირობითა და პრინციპულობით, ბოლშევიკური თვითკრიტიკის საფუძველზე გამოამჟღავნებენ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს და დასახავენ ღონისძიებებს მათი აღმოფხვრისათვის, პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობაში მავნებლობის შედეგების უსწრაფესი და საბოლოო ლიკვიდაციისათვის.

პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის შემდგომი აღმავლობის საქმეში საქართველოს ბოლშევიკები მომავალშიც განუხრელად იხელმძღვანელებენ თქვენი ისტორიული ლოზუნგით ბოლშევიზმის დაუფლების შესახებ, კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), რომელიც შექმნილი და გამოზრდილია თქვენ მიერ საქართველოსა და კავკასიის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ჯერ კიდევ გარიჟრაჟზე, რომელიც აღზრდილია კომუნიზმის ყველა მტრისადმი შეურიგებლობის სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე, იყო, არის და იქნება საკ. კ. პ. (ბ)-ის ერთგული მებრძოლი რაზმი, საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ურყევი ბურჯი.

საქართველოს ბოლშევიკები სიტყვას გაძლევენ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ,** რომ ისინი, მაღლა ეჭირებათ რა ლენინ-სტალინის დიადი უძლეველი დროშა, მომავალშიც ბოლშევიკებისათვის ჩვეული მთელი ენერგიით იბრძოლებენ ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, ხალხთა სტალინური მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და ჩვენი დიადი სამშობლოს სამხედრო თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად, უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის ბრძენ ბელადს დიდ **სტალინს!**

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პროფესორების ი. ს. ბერიტაშვილის და ი. ა. ჯავახიშვილის დაჯილდოების შესახებ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოებულ იქნან პროფესორი ი. ს. ბერიტაშვილი და პროფესორი ი. ა. ჯავახიშვილი განსაკუთრებული დამსახურებისათვის სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობაში შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1938 წ. 15 ივნისი.

პროფ ი. ბერიტაშვილი

პროფ. ი. ა. ჯავახიშვილი

ვლადივოსტოკი

ამხანაგებს — ვ. კოკინაკის, ა. ბრიანდინსკის

მხურვალედ გილოცავთ მთავრობის დავალების ბრწყინვალედ შესრულებას.

მოსკოვ - ხაბაროვსკ-ვლადივოსტოკის რაიონის მარშრუტით გმირულ გადაფრენას, რომელმაც 7.600 კილომეტრი უძნელესი გზა დაჰფარა 24 საათსა და 35 წუთის განმავლობაში, ახალი შესანიშნავი ფურცელი შეაქვს საბჭოთა და მსოფლიო ავიაციის ისტორიაში. საბჭოთა კავშირის მშრომელნი ამაყობენ თქვენი გამარჯვებით.

გადაგეხვევით და მაგრად გართმევთ ხელს.

ი. სტალინი	ა. ანდრეევი
ვ. მოლოტოვი	ა. ჟდანოვი
კ. ვოროშილოვი	ნ. ეჟოვი
მ. კალინინი	ნ. ხრუშჩოვი
ლ. კაგანოვიჩი	მ. კაგანოვიჩი
ა. მიკოიანი	ა. ლოქტიონოვი.

სპასკიდან 28/VI 38 წ.

მოსკოვი. კრემლი

ამხანაგებს—სტალინს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, ეჟოვს

გადაფრენა მოსკოვ - ვლად ივოსტოკის მარშრუტით შესრულებულია ერთ დღეღამეში.

მფრინავი **კოკინაკი**
მტურმანი **ბრიანდინსკი.**

მოსკოვი. კრემლი

ამხანაგებს—სტალინს, მოლოტოვს

თქვენი ნდობა გავამართლე, დავალება შევასრულე.

კოკინაკი

საინფორმაციო ცნობა

1938 წლის 20 ივნისს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხანაგი **ლ. პ. ბ ე რ ი ა.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **ი. დ. კ ო ტ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **კ. ნ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად პლენუმმა აირჩია ამხანაგები: **ვ. მ. ბ ა ძ რ ა ძ ე, ლ. პ. ბ ე რ ი ა, ს. ა. ბ ო გ ლ ი ძ ე, ვ. ბ. დ ე კ ა ნ ო ზ ო ვ ი, ს. მ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ი. დ. კ ო ტ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი, ს. ს. მ ა მ უ ლ ო ვ ი, შ. ე. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ვ. ნ. მ ე რ კ უ ლ ო ვ ი, ბ. თ. ს ტ უ რ უ ა, კ. ნ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეულ იქნენ ამხ. **ვ. ბ. ბ რ ი ბ ო ტ რ ი ა ნ ი, პ. ა. შ ა რ ი ა, ა. ე. თ ო ლ ო ფ ო ვ ი, ა. ი. მ ი რ ცხ უ ლ ა ვ ა.**

პლენუმმა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორად დაამტკიცა ამხ. **ვ. ბ. ბ რ ი ბ ო ტ რ ი ა ნ ი** და გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორად ამხ **ვ. ა. ხ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი.**

ს ი ა

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის წევრებისა, რომლებიც არჩეული არიან საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XI ყრილობის მიერ

1. **სტალინი ი. ბ.**
2. **ანდღულაძე გ. ი.**
3. **არუთინოვი ბ. ნ.**
4. **ბაზანდარაშვილი ს. ბ.**
5. **ბაძრაძე ვ. მ.**
6. **ბარამია მ. ი.**
7. **ბერია ლ. პ.**
8. **ბეჭვაია კ. ბ.**
9. **ბვიშიანი მ. მ.**
10. **ბოგლიძე ს. ა.**
11. **ბოჩაშვილი ბ. ა.**
12. **ღუდუშაური ი. ე.**
13. **ბრიბოტრიანი ვ. ბ.**
14. **დარაშვილი ბ. ს.**
15. **დეკანოზოვი ვ. ბ.**
16. **ჯაში მ. ი.**
17. **ჯანჯღავა ლ. ფ.**
18. **ჯოტბეგიაძე ა. ვ.**
19. **ჟორჟოლიანი დ. ლ.**
20. **ზოდელავა ა. ს.**
21. **იშხანოვი ს. მ.**
22. **კარანაძე ბ. თ.**
23. **კვარაცხელია მ. მ.**
24. **კვირკველია რ. ა.**
25. **ქობულოვი ბ. ზ.**
26. **კოტლამაზაშვილი ი. დ.**
27. **მაზანაშვილი ე. ნ.**
28. **მამულოვი ს. ს.**
29. **მახარაძე შ. ე.**
30. **მგელაძე ა. ი.**
31. **მერკულოვი ვ. ნ.**
32. **მილშტეინი ს. რ.**
33. **მირცხულავა ა. ი.**
34. **მიხანაშვილი ბ. ი.**
35. **ნარსია ბ. ე.**
36. **ნუცუბიძე შ. დ.**
37. **რაფავა ა. ნ.**
38. **რუხაძე ლ. ა.**
39. **საჯაია ა. ნ.**
40. **სალაძე ვ. ე.**
41. **სვანაძე ი. ი.**
42. **სტურუა ბ. თ.**
43. **თავაძე ი. კ.**
44. **ტალახაძე ი. ი.**
45. **თვალჭრელიძე ბ. ბ.**
46. **თოფურიძე ა. ე.**
47. **ტიულენევი ი. ვ.**
48. **ხატიაშვილი ვ. ა.**
49. **ხოშტარია ს. ბ.**
50. **ცირეკიძე დ. ზ.**
51. **ცხოვრებაშვილი ვ. ბ.**
52. **ჩარკვიანი კ. ნ.**
53. **ჩაჩიბაია ბ. დ.**
54. **ჭელიძე ს. მ.**
55. **ჭიჭინაძე დ. ა.**
56. **ჭიჭინაძე კ. ბ.**
57. **ჩუბინიძე მ. დ.**
58. **ჩხეტიანი ა. ლ.**
59. **შარია პ. ა.**
60. **შამუგია ი. ნ.**
61. **შეროზია კ. ნ.**

ს ი ა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებისა, რომლებიც არჩეული არიან საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XI ყრილობის მიერ

1. **კალანდია კ. კ.**
2. **ძიძიგური ვ. მ.**
3. **ბაიდაშვილი ნ. ნ.**
4. **კვაჭაძე ა. ფ.**
5. **ბაბუნია ნ. ვ.**
6. **როსტომაშვილი თ. ბ.**
7. **ბაბისონია ი. კ.**
8. **ვართაზაროვი ვ. ტ.**
9. **კოჩლავაშვილი ა. ი.**
10. **კაპანაძე ა. პ.**
11. **ლუდვიგოვი ბ. ა.**
12. **სარქისოვი ნ. პ.**
13. **ლეკიშვილი ი. ი.**
14. **ხუბაევი ვ. ი.**
15. **დელბა მ. კ.**
16. **ფუტკარაძე ი. ხ.**
17. **რუხაძე ნ. მ.**

ს ი ა

საარჩევნო კომისიების წევრებისა, რომლებიც არჩეული არიან საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XI ყრილობის მიერ

1. **ვაცეკი ი. პ.**
2. **ჩარკვიანი ნ. ი.**
3. **ფილიმონოვი ა. ო.**
4. **კირიაკოვი ბ. კ.**
5. **მენთეშაშვილი ი. ხ.**
6. **დავითაია შ. ტ.**
7. **მაისურაძე შ. ბ.**
8. **ფარცხალაძე ი. მ.**
9. **ელისაბედაშვილი ბ. ი.**

ალ. მაშაშვილის სიტყვა

საქ. კ. პ. (ბ) მეთერთმეტე ყრილობაზე

ქართული ლიტერატურის აღორძინება მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში დაიწყო. სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენში ფართო გასაქანი მისცა მწერლების ზრდასა და განვითარებას. სოციალისტური იდეებით ამაღლებული მწერლობა ხალხის აზრს და გრძნობას დაუკავშირდა; იგი მშობლიური გახდა მისთვის. საბჭოთა მწერლობა უკვე დაადგა სოციალისტური რეალიზმის გზას. საბჭოთა დღევანდელობამ ჯანსაღი სული შთაბერა ჩვენს მწერლობას. ეს მწერლობა უკვდავია, რამდენადაც იგი გამომხატველია ყველაზე უფრო მდიდარი და ბრწყინვალე ეპოქისა. ამიტომ არის, რომ საბჭოთა მწერლობა დღეს ყველაზე მოწინავე და მაგალითის მიმცემი მწერლობაა მთელ მსოფლიოში. დღეს ქართველი საბჭოთა მწერლობა, დიდი რუსი ხალხის მწერლობასა და სხვა მოძმე ეროვნებათა მწერლობასთან ერთად, სტალინური ეპოქის მწერლობის მოწინავე რიგებში დგას.

ჩვენი სინამდვილის სულ მცირე მანძილზე ქართულმა საბჭოთა პოეზიამ, მწერლობამ დიდ გამარჯვებას მიაღწია. დაიწერა ათეული წიგნები, ლექსები და პოემები. დაიწერა ათეული მოთხრობა თუ პიესა, სადაც გამოხატულია თანამედროვე ეპოქის ყველაზე დიდი ადამიანი, გამარჯვებული სოციალიზმის ყველაზე დიდი გმირი — ამხანაგი **სტალინი.**

ამხანაგმა სტალინმა მწერლებს ადამიანის სულის ინჟინრები უწოდა. ეს საპატიო შეფასება მწერლობისა გვავალებს ჩვენ, მწერლებს, უფრო ღრმად, უფრო ფართოდ უფრო ხორცშესხმულად და გულწრფელად ავსახოთ მშრომელი ხალხის გმირული ბრძოლა და შრომა, სოციალისტური სინამდვილისადმი შეგნებული და ფხიზელი თვალით მიდგომა. აი საფუძვილი ქართული საბჭოთა მწერლობის შემდგომი განვითარებისა.

ქართული საბჭოთა პოეზია უფრო აამაღლა და გაამდიდრა სტალინურმა კონსტიტუციამ. მან უფრო გააფართოვა ქართული მწერლობის მხედველობის არე, მან შთაბერა ჩვენს მწერლობას ახალი ძალა და შემოქმედებითი ენერგია. დაიწერა მრავალი ლექსი და პოემა, სტალინურ კონსტიტუციაზე, არჩევნებზე — გამარჯვებული ხალხის ამ დიად დღესასწაულზე. ჩვენი მწერლობა გამდიდრდა საბჭოთა პატრიოტიზმის ბრწყინვალე იდეებით. დაიწერა მრავალი წიგნი სამშობლოზე, სადაც გამოხატულია ქართველი ხალხის სოციალისტური პატრიოტიზმის, სტალინური ძმობისა და მეგობრობის უკვდავი იდეა.

ამხ. ლ. ბერიას ბრწყინვალე შრომამ „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ უფრო გააფართოვა ქართული ხასიათის ნაწარმოები.

ჩვენს ქართულ მწერლობაშიაც ბუდობდნენ ხალხის მტრები. დღეს იგი უკვე გაწმენდილია ამ საზიზღარი ჯაშუშებისაგან. ჩვენი მწერლობის რიგები ივსება ახალი, ჯანსაღი, ახალგაზრდა მწერლების ნიჭიერი კადრებით.

დღეს ქართული მწერლობა ერთსულოვნად დარაზმულია ლენინ-სტალინის მზიანი დროშის ქვეშ. ჩვენ, საბჭოთა მწერლები, სიტყვას ვაძლევთ გამარჯვებული ხალხის პარტიას და ხელისუფლებას, რომ პირველ დაძახებისთანავე მკერდით დავიცავთ ჩვენს ბელინიერ სამშობლოს, ვინაიდან ჩვენთვის, საბჭოთა მწერლებისათვის, „წიგნი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს ტყვიით სავსე ყუმბარა“. (ტაში). ქართული საბჭოთა მწერლობის შემოქმედების მთავარი თემა არის და მუდამ იქნება ჩვენი დიდი ეპოქა, ქართული მწერლობის დაუშრეტელი შთაგონება არის და მუდამ იქნება ჩვენი დიდი **სტალინი.** (ტაში). (ამხ. ა. მაშაშვილმა, სიტყვის შემდეგ წაიკითხა ლექსი, რასაც ყრილობის დელეგატები ტაშით შეხვდნენ.).

ტაქტიკურ მეცადინეობაზე. ნახ. კ. გრძელიშვილისა

განახლებულ კოლხეთში

ვიქტორ გაბესკირია

აღვის ხე

სჩანდა მის ირგვლივ მინდვრის ბარდი და ნარეკალი,
ქარი მზის სხივებს, ვით ხმელ ბალახს, ველზე ფანტავდა;
ველ ფოთოლს მისას დაეფარა უცნობი კვალი
იქ, სადაც ტყისკენ მიმავალი ბილიკი სჩანდა.

ეწვეთებოდა სხივებს ცვარი ისევე, ვით ჟანგს,
რამდენჯერ მისი ფოთლის ცვენა ისე დასრულდა,
რომ მასთან არვინ არ მისულა, თუნდ საღამოს ჟამს,
მარტოდ დარჩენილს ზოგჯერ თითქოს წაქცევა სურდა.

მაგრამ დღეს, როცა ეს მიდამო განახლებულა,
როს აელვარებს ცვარს ყვავილზე მზე ყოველ დილით,
როს ოქროს ბუჩქით და ვარდებით დასახლებულან,
ხე თითქოს იგრძნობს ამ სიხარულს და მისი ჩრდილი

ჩადის ეზოში, რომ ოდის წინ მინდორს დაშვენდეს.
ხე მოკრძალებას და მზის სხივებს ჩრდილს თან გაატანს.
ის ზოგჯერ ღია ფანჯარიდან სახლშიაც შედის
და ბალიშებზე მოშრიალე ფოთლებს დახატავს.

ღამით, როს სოფელს მოსავს ძილი და შუქი მთვარის,
ხეც ინაბება, და ტოტები თუ ირხევიან,
მხოლოდ მაშინ, როს ღრუბლების ცას გაარღვევს ქარი
და მრათობს ცისა შტონი მისი შეუხებიან.

მინდვრად

შემწყდარა ველზე მუშაობა და საღამოს ბინდს
ზღვის გრილი სიო და ფრთამარდი მერცხალი სერავს.
შორდება ეზოს ქალიშვილი და იქით მიდის,
სადაც წრე არის შეკრული და ისმის სიმღერა.

მათ შორის ჩადგა, უნებლიედ ისწორებს თმას და
დგას შორი ახლო მეგობრებში, როგორც სტუმარი.
მოკეკვავენი რიგრიგობით მიდიან მასთან,
მაგრამ მან ყველას მედიდურად უთხრა: „არი.

იგრძნო, რომ მისი საიდუმლო ბევრმა გაიგო,
მაგრამ ყველანი ერთობიან, წრე კვლავ შეკრულა.
იგი ისევე სდუმდა, რადგან მათთან არ იყო
ის, ვისიც ტრფობა გულში თურმე ედგა ფარულად.

გაიხმო ერთმა, უთხრა: „თავი გამოიჩინა
მან, როს მოაწყდა სოფელს წყალი და ზღვის ქარიო.
წყალდიდობისგან სოფელი მან გადაარჩინა,
მაგრამ უეცრად ცუდად გახდა, ავად არიო“.

ფერი ეცვალა, შეუშვირა მან სახე ნიავს.
არვის ხედავდა ეხლა იგი იმ ერთის გარდა.
თეთრი ყვავილი, ქინძისთავით რომ დაებნია,
მან უნებლიეთ ჩამოიღო და დაუვარდა.

სიმღერა შეწყდა. გაჰყვა მთვარე ღრუბლების მთებს და
სოფელი მის მკრთალ სინათლეს და ნიავს მიენდო.
მწვანე მინდორი კვლავ გამოჩნდა, როცა გათენდა,
და იქ ბალახზე ერთად-ერთი ყვავილი ეგდო.

მძინარე ქალიშვილი

ის ხის ქვეშ ტახტზე დიდხანს მშვიდად წიგნს კითხულობდა.
გადაფურცვლის დროს ხელს უშლიდა სხივები, თმები.
შემდეგ კი ფრთხილად ჩრდილთან ძილიც მიუახლოვდა
და გაშლილ წიგნზე უმოძრაოდ დარჩა თითები.

აკმევს ნიავი სურნელებას, მზის მტვერში ნარევს,
ოქროს ბუჩქების ეზოს მშვიდად დაჰყურებს ზეცა.
შეშრიალა ფოთლმა და უცებ მძინარეს
თმებში გახვეულ მკერდზე თეთრი კენჭი დაეცა.

მიმოიხედა, ვერსად ამჩნევს ის ადამიანს,
შეკრთა და ფერი შეეცვალა სახეზე ვარდებს.
არავინ სჩანდა. განა კენჭი ზეცის ნამია,
რომ მოსწყდეს ფოთოლს და მძინარის მკერდზე დავარდეს?!

ვინ უნდა იყოს? ფიქრს მიეცა,სხვას არას გრძნობდა.
ვით ქანდაკებას თეთრი წიგნი მუხლებზე ედვა.
ღობის იქით კი ვაჟი დახრილ ხეს მიყრდნობოდა,
„შეირხევაო“ და გამოსვლა ვერ გაებედნა.

მონადირე

სოფელი მისი ისევ კარგი სჩანდა შორიდან.
ყოველ ეზოში გრძნობდა იგი ელფერს სიახლის.
მზიან სოფელში შეუჩნევლად ის შემოვიდა
და მოქანცული მოჰყვება ძაღლი.

მას მოღიმარი მეზობლები გზაზე ხვდებიან,
მაგრამ როს გზაზე ჩერდება და გამვლელს ხელს ართმევს,
მოეხვევიან ბავშვები და აკვირდებიან
ტყავის ჩანთაზე დაკიდებულს ჩიტებს, ტყის ქათმებს.

ისმის ბავშვებში: „ლამაზია“, „ის არის კარგი“,
ზოგზე ფიქრობენ „რუხია“ და„გარუჯულია“.
ჩიტებს კი ფრთებში ჩაუყვიათ გრძელი ნისკარტი
და თვალები დახუჭული აქვთ.

საღამო ზღვასთან

ქარმა სხივებით განაბზარი ღრუბლის სვეტები
შეარყია და დადუმებულ ზღვაზე გააფრთდა.
შავად ეცემა ქვიშას წვიმის თეთრი წვეთები
და თვალს შორდება მოქანცული ხომალდის აფრა.

ცის დასავალი აიშალა და თითქოს მიდის.
ზღვაზე დარჩენილ სხივებს ზვირთნი ღრუბლებში ხვევენ.
ტალღის სინათლე ფრინველივით ფარფატებს ბინდში
ან მიაშურებს ზღვის ნაპირად გარიყულ ხეებს

ვგრძნობ მიხარია. ზღვის და ქარის ღელვას გავხედავ
მოღიმარი და ნავსადგურში ანთებენ ლამპარს.
ზღვას დავშორდები, შევჩერდები ნაწვიმარ ხესთან
და ყურს დავუგდებ ზღვას, ვით ღამით მოსმენილ ზღაპარს.

თავდაცვით თემაზე

მრ. ასტვაცატუროვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაცვითი თემა არის საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი თემა. რაც უფრო ძლიერდება ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხე, რომელსაც ამზადებენ ფაშისტური ყაჩაღები, მით უფრო მთელი სიკრძე - სიგანით იჭრება ჩვენს წინაშე საბრძოლო ბრძოლაფინისა და თავდაცვითი უნარის გაძლიერების ამოცანა.

სოციალისტური სამშობლოს თავისუფალი ხალხი, რომელმაც დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით შექმნა ბედნიერი და საამური ცხოვრება ყოველ წუთს სამობილიზაციო მზადყოფნაში უნდა იყოს. ამ სამობილიზაციო განწყობილების შექმნას სამშობლოს თავდაცვისათვის უნდა ეხმარებოდეს საბჭოთა მხატვრული ლიტერატურაც.

თავდაცვითი თემის ფარგლებში, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, შედის ყველა თემა, აღიბეჭდული ჩვენი ხალხის წარსულიდან და თანამედროვე ცხოვრებიდან, რომელიც აღვიძებს მკითხველში პატრიოტული სიამაყის გრძნობას, სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს. ყოველი მხატვრული ნაწარმოები, მეცნიერების ყოველი მიღწევა უნდა ემსახურებოდეს სოციალისტური სამშობლოს განმტკიცებასა და დაცვას.

თავდაცვითს თემად ხშირად გულისხმობენ მხოლოდ წითელი ჯარის, ფლოტისა და მესაზღვრეთა გმირობისა და ცხოვრების ასახვას, მისი სამხედრო ოპერაციების, წითელარმიელის ცოდნისა და ხასიათის ჩვენებას. წითელი ჯარისა და მისი ცოცხალი ადამიანების ჩვენება არ უნდა იყოს მოწყვეტილი საბჭოთა ხალხის საერთო ყოფას, როგორც მთლიანი სისტემის ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი. არასოდეს ისტორიაში და არსად დღევანდელ მსოფლიოში ისე ორგანიულად არ ყოფილა და არ არის არმია, მისი ყოფა და მიზანსწრაფვა დაკავშირებული ხალხთან, ხალხის მისწრაფებებთან, სამშობლოს შეგნებულ დაცვასთან, როგორც ჩვენი არმია. წითელი არმია თავისი ხასიათით სახალხო არმიაა, მიზნებით კი სოციალისტური. გმირულად და შეგნებულად იცავს ის სოციალისტურ სამშობლოს იმიტომ, რომ მან იცის, რომ მხოლოდ სოციალისტურ სამშობლოს განმტკიცებასა და თავდაცვითი უნარიანობის გაძლიერებაში სრული გარანტიაა ხალხის კეთილდღეობის. მას სწამს, რომ იცავს სამშობლოს, რომელთანაც დაკავშირებულია მთელი მოწინავე კაცობრიობის ბედი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თავდაცვითს თემატიკაში საპატიო ადგილი არ ეჭიროს წითელი არმიის ცხოვრებას, რომელიც უშუალოდ იცავს ყოველდღიურად სამშობლოს საზღვრებს, იძლევა გმირობისა და სოციალისტური პატრიოტიზმის შესანიშნავ მაგალითებს.

მხატვრული ნაწარმოები, შეიხება იგი დღევანდელ დღეს თუ მშრომელთა გმირულ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის დაცვისათვის საერთაშორისო იმპერიალიზმისა და თეთრგვარდიელთა გამხეცებული შემოტევებისაგან სამოქალაქო ომის წლებში უნდა შეიცავდეს ერთ ცენტრალურ იდეას — სოციალისტურ პატრიოტიზმს. ყველა დანარჩენი მის გარშემო უნდა იყრიდეს თავს. დაწერილი უნდა იყოს ის ისეთი მხატვრული ძალით, რომ სამართლესთან ერთად გვაგრძნობინოს გულწრფელობა და გააღვიძოს ბოლშევიკების საქმისათვის თავდადების გრძნობა, აღაფურვოს ყოველი მკითხველი გმირული ღვაწლისათვის და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა გადაიქცეს მის მოწოდებად. ასეთი ნაწარმოები აუცილებლად თავდაცვითი იქნება.

ბელადი გვასწავლის, რომ მწერალი არის ადამიანის სულის ინჟინერი. ეს ნიშნავს — მწერალი სწვდებოდეს და ფლობდეს ადამიანის სულის სიღრმეს, მის ფსიქოლოგიას, განცდებს, ხასიათს და უმთავრესად ამ სიბრტყეზე გვიჩვენებდეს ადამიანის მოქმედების ყველა მხარეს. გმირულ მოქმედებას ძალას უნდა აძლევდეს გმირული სული. სოციალისტურ გმირში არ უნდა ეხვდელოდეთ მექანიკურ გაორებას. მისი პრაქტიკული მოქმედება სავსებით უნდა შეესაბამებოდეს მის სულიერ სამყაროს. საბჭოთა პატრიოტის ფსიქოლოგიური ყოფა, მისი სულიერი სფერო უნდა ჰქმნიდეს იმის წინასწარ შეგნებას მკითხველში, რომ ის გასაოცარ გმირობას და თავდადებას გამოიჩენს საჭირო შემთხვევაში თავისი სამშობლოს ინტერესებისათვის. მან უნდა გვიჩვენოს აგრეთვე წითელი არმიის ურთიერთობა ხალხთან, რადგან ისტორიაში და თანამედროვე მსოფლიოში ის არის ერთად-ერთი სახალხო არმია, რომელიც ხალხისაგან შესდგება, დაკავშირებულია ხალხთან, შეგენებულად იცავს ხალხის ინტერესებს და იმსახურებს მის სიყვარულს. ის არის ერთად-ერთი არმია, რომელიც ეუფლება სამხედრო ტექნიკას და ამავე დროს შეაქვს კულტურა საბჭოთა ახალგაზრდობაში, ხელს უწყობს მისი ინტელექტუალური პოტენციის განვითარებას. მწერალმა უნდა გვიჩვენოს წითელი არმიელის სამხედრო ცოდნა და ხასიათი, წითელარმიელისა და ხასიათის ჩვენებას. წითელი ჯარისა და მისი ცოცხალი ადამიანების ჩვენება არ უნდა იყოს მოწყვეტილი საბჭოთა ხალხის საერთო ყოფას, როგორც მთლიანი სისტემის ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი. არასოდეს ისტორიაში და არსად დღევანდელ მსოფლიოში ისე ორგანიულად არ ყოფილა და არ არის არმია, მისი ყოფა და მიზანსწრაფვა დაკავშირებული ხალხთან, ხალხის მისწრაფებებთან, სამშობლოს შეგნებულ დაცვასთან, როგორც ჩვენი არმია. წითელი არმია თავისი ხასიათით სახალხო არმიაა, მიზნებით კი სოციალისტური. გმირულად და შეგნებულად იცავს ის სოციალისტურ სამშობლოს იმიტომ, რომ მან იცის, რომ მხოლოდ სოციალისტურ სამშობლოს განმტკიცებასა და თავდაცვითი უნარიანობის გაძლიერებაში სრული გარანტიაა ხალხის კეთილდღეობის. მას სწამს, რომ იცავს სამშობლოს, რომელთანაც დაკავშირებულია მთელი მოწინავე კაცობრიობის ბედი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თავდაცვითს თემატიკაში საპატიო ადგილი არ ეჭიროს წითელი არმიის ცხოვრებას, რომელიც უშუალოდ იცავს ყოველდღიურად სამშობლოს საზღვრებს, იძლევა გმირობისა და სოციალისტური პატრიოტიზმის შესანიშნავ მაგალითებს.

მხატვრული ნაწარმოები, შეიხება იგი დღევანდელ დღეს თუ მშრომელთა გმირულ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის დაცვისათვის საერთაშორისო იმპერიალიზმისა და თეთრგვარდიელთა გამხეცებული შემოტევებისაგან სამოქალაქო ომის წლებში უნდა შეიცავდეს ერთ ცენტრალურ იდეას — სოციალისტურ პატრიოტიზმს. ყველა დანარჩენი მის გარშემო უნდა იყრიდეს თავს. დაწერილი უნდა იყოს ის ისეთი მხატვრული ძალით, რომ სამართლესთან ერთად გვაგრძნობინოს გულწრფელობა და გააღვიძოს ბოლშევიკების საქმისათვის თავდადების გრძნობა, აღაფურვოს ყოველი მკითხველი გმირული ღვაწლისათვის და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა გადაიქცეს მის მოწოდებად. ასეთი ნაწარმოები აუცილებლად თავდაცვითი იქნება.

ბელადი გვასწავლის, რომ მწერალი არის ადამიანის სულის ინჟინერი. ეს ნიშნავს — მწერალი სწვდებოდეს და ფლობდეს ადამიანის სულის სიღრმეს, მის ფსიქოლოგიას, განცდებს, ხასიათს და უმთავრესად ამ სიბრტყეზე გვიჩვენებდეს ადამიანის მოქმედების ყველა მხარეს. გმირულ მოქმედებას ძალას უნდა აძლევდეს გმირული სული. სოციალისტურ გმირში არ უნდა ეხვდელოდეთ მექანიკურ გაორებას. მისი პრაქტიკული მოქმედება სავსებით უნდა შეესაბამებოდეს მის სულიერ სამყაროს. საბჭოთა პატრიოტის ფსიქოლოგიური ყოფა, მისი სულიერი სფერო უნდა ჰქმნიდეს იმის წინასწარ შეგნებას მკითხველში, რომ ის გასაოცარ გმირობას და თავდადებას გამოიჩენს საჭირო შემთხვევაში თავისი სამშობლოს ინტერესებისათვის. მან უნდა გვიჩვენოს აგრეთვე წითელი არმიის ურთიერთობა ხალხთან, რადგან ისტორიაში და თანამედროვე მსოფლიოში ის არის ერთად-ერთი სახალხო არმია, რომელიც ხალხისაგან შესდგება, დაკავშირებულია ხალხთან, შეგენებულად იცავს ხალხის ინტერესებს და იმსახურებს მის სიყვარულს. ის არის ერთად-ერთი არმია, რომელიც ეუფლება სამხედრო ტექნიკას და ამავე დროს შეაქვს კულტურა საბჭოთა ახალგაზრდობაში, ხელს უწყობს მისი ინტელექტუალური პოტენციის განვითარებას. მწერალმა უნდა გვიჩვენოს წითელი არმიელის სამხედრო ცოდნა და ხასიათი, წითელარმიელისა და უფშმადგენლობის ურთიერთობის თავისებურება, რომელიც განსხვავდება ყველა ჯარის შინაგანი რეჟიმისაგან, წითელი არმიელის ოჯახი, მისი კავშირი ოჯახთან. უნდა გვიჩვენოს ის, თუ როგორ ეხმარება და როგორ იმუშავებს თანამედროვე საბჭოთა ოჯახი ადამიანში გმირობასა და სამშობლოსათვის თავდადების შეგნებას. მწერალმა უნდა გვიჩვენოს უფშმადგენლობა საქმეში და პირად ცხოვრებაში. უფრო მეტი შეიძლება ვთქვათ მესაზღვრეთა ცხოვრების ასახვაზე. სოციალისტური სამშობლოს საზღვრებს იცავენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო, რჩეული შვილები. ისინი იძლევიან იშვიათ ნმუშებს დინჯი, უშიშარი ცხოვრების ოსტატურად შეთვისებისას სიფხიზლესა და საბრძოლო მზადყოფნასთან. ამასთანავე ისინი უფრო უშუალოდ არიან დაკავშირებული მოსახლეობასთან. მოსახლეობა ეხმარება მათ და აქტიურ მონაწილეობას იღებს სოციალისტური სამშობლოს საზღვრების დაცვაში.

წითელი არმიის, ფლოტისა და მესაზღვრეთა ცხოვრებისა და ადამიანების ჩვენება უნდა გადაიქცეს საბჭოთა მწერლების უახლოეს ამოცანად. წითელი არმიის ცხოვრება წარმოადგენს გმირობისა და სოციალისტური პატრიოტიზმის დაუშრეტელ წყაროს და მისადმი ნაკლები ყურადღება მხატვრულ ლიტერატურაში პირდაპირ დანაშაულს უდრის.

როგორია კონკრეტულად მდგომარეობა ქართულს ლიტერატურაში? თავდაცვითს თემაზე, კერძოდ, სამშობლოსა და სოციალისტურ პატრიოტიზმზე საკმაოდ მოგვეპოვება ლირიკული ლექსები, დაწერილი დიდი უშუალობით, გულწრფელობით და რევოლუციური პათოსით. ამ მხრივ აღსანიშნავია პოეტების გ. ტაბიძის, გ. ქუჩიშვილის, ალ. მაშაშვილის, ს. ჩიქოვანის, გ. ლეონიძის, ი. მოსაშვილის, ალ. აბაშელის, პ. სამსონიძის, ირ. აბაშიძის, ალ. გომიაშვილის, გ. კაპანაძის, ვ. გაბესკირიას, კ. ბობოხიძის და სხვათა მუშაობა. მაგრამ მარტო ლირიკული ლექსები ვერ გასცემენ პასუხს იმ დიდ მოთხოვნას, რომელიც დგას მხატვრული მწერლების წინაშე. მხატვრული ტანსაცმელი — ესეი, ნოველა, ლექსი, ლოდ ეს ერთი — ორი — სამი — ... იქნება, თუ ... გვიჩვენებ ... ...

მდინარეზე გადასვლა*

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

რკინისგზიდან შარაზე გადაუხვია იორდანემ. გზა გაუგრძელდა. მანკიანი ფეხი ატკივდა. ბრიკს მიადგა და მარცხენა პაჭიჭის ლიკვერთხი შეისწორა. ასე მოეჩვენა, თითქო ლიკვერთხი უჭერდა ფეხზე. როცა გზა განაგრძო, მიყრუებული ტკივილი ისევ გაუახლდა. იორდანემ მარჯვენა ხელი შეათამაშა, გიგონებოდათ, რაღაცას დაეძებსო, ეა უეცრად შენიშნა, რომ უჯოხოდ იყო. ახლა მიხვდა იორდანე, თუ რატომ გაუგრძელდა გზა, რატომ ასტკივდა ფეხი და რატომ ეხამუშებოდა ყავარჯენს დაჩვეული ხელის თავისუფალი მოძრაობა.

შარის მარცხენა კიდრით გადაყელა და შეყვითლებულ ჩირგვებში ობოლი ლოკუმბა მოსჭრა, საბიჯი ჯოხი რომ გამოეკოპიტებინა სახელდახელოდ.

ჩირგვებში ფოთიალმა აჩქარება გადააკვეწა იორდანეს. აღარც ის ახსოვდა თუ სად მიიჩქაროდა ასე თავდავიწყებული. მწიფე ქორმაყვალს მიადგა და კრეფას შეუდგა. დასისხლებულ კურკანტელს ხელი შეავლო, თითქო წლის მოსავალს შეხარისო. ოქროსფრად ბრჭყვინავდა სამოსელშეყვითლებული მინდორველი. ზლაზვნით გამოვიდა შარაზე და გულდაწყვეტით წაილუღლუღა ამ ფოთლების ცხოვრება რით განირჩევა ადამიანის ცხოვრებისაგან. თავი ჩაღუნა და ფიქრებს მიეცა.

ბილიკიდან უტუ გამოვიდა შარაზე. იორდანემ განზე გადააფურთხა ფოი, ეშმაკსო.

უტუს ახალოხის ღილკილოები გაეხსნა და შილიფად მოაბიჯებდა. იორდანეს რომ შემოხვდა, ნაბიჯს უკლო. ცხვირსახოცით ოფლი შეიწმინდა და რა ძალიან დაცხაო-შესჩივლა იორდანეს.

იორდანემ მოკლედ მოუჭრა: ჩვენში სანაქებო შემოდგომა იკისო. უტუ მიხვდა: მასლაათის გუნებაზე არ არისო და აღარ დაადაკა. ნაბიჯი შეუთანაბრა და მხარდამხარ გაჰყვა იორდანეს.

დიდხანს იარეს მომდურებულებივით. უტუ ამ ხნის განმავლობაში ერთ რამეს ფიქრობდა: გაასწრებ—ინანებ, ჩამორჩები—იმასაც ინანებ.

აფოლეოთებული რიონის ზხუილმა ოაარღვია მყუდროება. „ხე და მიწა“ მოჰქონდა მთაში ფიცრად მოდიდებული მდინარეს.

უტუმ ღუნკომა ტალღებს შეხედა და მოულოდნელად ჰკითხა იორდანეს:

—ცურვა კიდევ იცი?

—ცურვა ჯ, ერა!..—კუშტად მიუგო იორდანემ—ხანდახან ისიც კი მავიწყდება, ყური სად მაბია. რაზე მკითხე?

—წყალს შეეხიდე და ჩვენი ბავშვობა მომაგონდა. გახსოვს, სანაძლეოს რომ ვსდებდით-ვინ უფრო მარჯვედ გადავა მეორე ნაპირზეო... შენ ხშირად გვიგებდი სანაძლეოს.

—ეჰ... მის შემდეგ...- ჩაჰნია ხელი იორდანემ,-ოცდაათი წელიწადია წყალში ტანგახდილი არ ჩავსულვარ.

ბორანთან მივიდნენ.

იორდანემ შუბლი მოიჩრდილა და რიონზე გადაჭიმულ მავთულს გააყოლა თვალი. ჯალმა ბორანი თუ დგასო.

—წაუღია!—წყნინთ აღმოხდა იორდანეს. მავთულის დასამაგრებელ ბოძს მიეყრდნო და ნავები შეათვალთვალა-რომელი გამოდგებაო. თანაც ყოყმანობდა-ღირს თუ არა ნავით გადასვლაო.

—რას უყურებ?-გულუბრყვილოდ შეეკითხა უტუ.

—გადასვლა მინდოდა.. ბანთარიადან სიმინდი ვიყიდე, გახმობამდე გამოტანას ვერ ვახერხებ და.. ეფიქრობდი სასიმინდეს მაინც გამოვხურავ-მეთქი!

—ო, ყიოლაფერი კაი მოგაგონდა,

*) თავი რომანიდან „ოქროს ვერძი.“

გამოაჭყიტა თვალები უტუმ.—დღეს რომ საქალამნე ვიყიდე, რაღა შინ ვათრიო. ბარემ ქი დავუტოვებდი ბეველეს.—ჩოხა-ახალოხი შემოიკალთა და სწორედ იმ ნავს მიადგა, რომელსაც იორდანე ათვალიერებდა. ნიჩბები გასინჯა და ნავი წყალში შეაჯოჯა.

—დაუჯექ ნიჩბებს!—ბრძანების კილოთი მიუბრუნდა იორდანეს, ერთ წამში გადავალთ...

იორდანეს ფერი იცვალა. ეარის თქმა მაინც იოკადრისა და უყოყმანოდ მიუჯდა ნიჩბებს.

უტუმ შეხვეული საქალამნე ნავში ჩაადგო და უკანა ბაქანზე მომარაგდა.

ნავი საქანელასავით აბორძიკდა. უტუ ისე თამამად იდგა მოქანავე ნავის ვიწრო ბაქანზე, თითქო მისთვის სულერთია, ნავი რომ გადაყირავდეს, მხარულით გადასჭრის მდინარეს და ყვნებლად გადავალ. უტუ საუკეთესო მცურავად ითვლებოდა საღვამიჩაოში.

იორდანემ ოსტატურად მოუსვა ნიჩბები. ბორნის მავთული ქვემორე ჩამოიტოვა და მდორე ფონისაკენ აიღო გეზი. ნაპირს რომ გასცდნენ, დაუტვირთავი ნავი აფარფატდა. ხან ყალყზე შედგა, ხან ცხვირით გადაეშვა აფეთქებულ ზვირთებში.

უტუმ წონასწორობა დაკარგა. ორჯერ სამჯერ მოსწყდა ბაქანს და წაიფორხილა. მაგრამ ნავის კიდეზე ხელის ჩავლება მაინც ითაკილა. ფეხები გაჩაჩხა და ცალი მხლი ნავის კიდეს მიაბჯინა.

იორდანე გალმა ნაპირს მიჰჩერებოდა. წერტილებად მოჩანდნენ ნაპირზე ზურგით გადაბრუნებული ნავები. მავთულის დასამაგრებელი ბოძები ღობის სარებს არ აღემატებოდნენ. მზემ საშინლად დააჭირა. დასცხა იორდანეს. უტუს ოფლი გადაასკდა. ჩოხა გაიხადა და ბაქანზე დაადგა.

ახლა ნავიც აღარ ქანაობდა წელანდებურად. არც ნიავი ჰქროდა და თაკარა მზე ულმობელად თუთქავდა მგზავრებს. იორდანე აინუნშიაც არ იგდებდა შემოდგომის უჩვეულო ხვატს. მის გამოცდილ მარჯვენას ლარიანით სწორად მიჰყავდა ნავი ნაპირისაკენ.

ასიოდე მეტრის მანძილზე რომ შესტოპეს, აბუყბუყებულ მორევში მოექცნენ. ნავი ციბრუტივით დატრიალდა. დაჭარხალ გეზი და ვანერო წრეს ორჯერ-სამჯერ შემოუარა. იორდანეს ბრაზი მოერია-როგორ მოგტყუებდიო.. ცალი ნიჩაბი ხელიდან გაუშვა და ცალით წყლის მდინარეს გააყოლა ნავი. ნამმა გაარღვია მოჯადოებული წრე. მოსხლტა და ჩანჩქერში გადაეშვა. იორდანემ თვალის დაფაზურება ვერ მოასწრო, ბორნის მავთული უკან ჩამორჩა და ოკიოდე ნაბიჯით დაბლა დაექანა.

შეკრთა იორდანე. გეზის დაკარგვა მკლავის სისუსტეს დაებრალა. ამიტომ ისე დაძაბულად მოუსვა ნიჩბები, კინაღამ კისრის ძარღვები დაეწყდა.

ნავი სამშვიდობოს გავიდა. იორდანემ კმაყოფილებით მოხედა გადალახულ სიძნელეს და ვანერულ და ვასავლელ მანძილს შეავლო თვალი, შუაგზაზე თუ ვარო. ვასავლური საგრძნობლად სჭარბობდა გადალახულ მანძილს და იორდანემ უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

უტუმ ახალოხის ღილკილოები ბოლომდე ჩაიხსნა და ნავის საცობი მოათუთუნა. ნავი რომ ხელმეორედ აყირავდა აზიავებული ტალღების განიერ ზურგზე, უტუმ დრო იხილა, საცობს მთელის ძალღონით მიაწვა, მოარყია და იორდანეს გასძახა—შეგიკვლებიო.

პასუხი ვერ მოასწრო იორდანემ, საცობმა იფეთქა და ხარისთვალის

*) თავი რომანიდან „ოქროს ვერძი.“

ოდენა ხვრეტილიდან თქრიალით შეიჭრა გაძრული ტალახი...

— ვიღუპებით!.. იკივლა უტუმ და საცობის ხვრეტილს ხელის გული დააჭირა. მეორე ხელით ჯამს მისწვდა შესული წყლის ამოსარწყავად. ფაკი-ფუცში საცობი წყალს გააყოლა. მოწოლილი ნიაღვარი ხელისგულით ვერ შეამაგრა, და ნავში გუბე გაჩნდა.

იორდანემ ხელი უშვა ნიჩბებს.

—მომეცალე! —უკივლა უტუს და საცობს დაუწყო ძებნა ნავის ფსკერზე, როცა ვერ იპოვა, ჩაბალახი მოიქიშტა, ხვრეტილს დააფარა და მხარბეჭით დააწვა გასამაგრებლად.

წყალი შედგა.

—ამორწყე და მიუჯექ ნიჩბებს!-უბრძანა იორდანემ ბერულავას და ჩამდგარ გუბეში ზუთხივით გაიშვერთა.

უტუ უსიტყვოდ დაემორჩილა. ჯერ წყალი ამორწყო, მერე ნიჩბებს მიაშორა, მაგრამ ახლა იორდანეს შეეკითხა ხელი ხვრეტილზე და წყალი ისევ თქრიალით შეიჭრა ნავში.

— გასწი რაც ძალი და ღონე გაქვს!—უკივლა იორდანემ შეუშფოთებელ უტუს და თვითონ ნავის ფსკერზე გაწვა მოწოლილი თქეშის შესაჩერებლად.

იორდანეს გაუძნელდა წყლის ღამაგრება. რაც დრო გადის, ღონე აკლდება. კისრამდე ფასეულებულს ოფლი წურწურით ჩამოსდის პირისახეზე. გულს მაინც არ იტეხს, ოინს იკრებს და დროჩაროვით უტუს ამხნევებს: არ შეშინდეო.

უტუ თავგამოდებით ფსვამს ნიჩბებს. იორდანე ფიქრობს-საცაა ავალთო და იმედმოცემული „ფრჩხილითა და ეგლეთით“ ებრძვის მოსალოდნელ უბედურებას.

უტუ უკან აღარ იხედება. ნავის ფსკერზე გართხმული იორდანე წვიმებს ითვლის-როდის გავინაპირებთო, მაგრამ დაყოვნებამ მოლოდინს გადააჭარბა.

— აღარ გავედით? — იკითხა შეშფოთებულმა იორდანემ და ცალფერად წამოიწია ნავიდან.

რიტი დაესხა იორდანეს. ჩამოჭნილ სანთელს დაემსგავსა.

ისინი ჯერ კიდევ შორს იყვნენ ნაპირიდან. მთავარი კი ის იყო, რომ უტუს ამ ხნის განმავლობაში წყლის მიმართულებით წაეყვანა ნავი, თავიდან აეღებულ გეზს ორასამდე მეტრით ჩამოშორებოდა. აქ კი ფონი თავდებოდა, იწყებოდა უფსკრული და გადაულახავი ჩანჩქერი.

იორდანე გიჟივით წამოვარდა. ხელი უშვა ხვრეტილს და ბარბაცით გაექანა ბერულავასკენ.

უტუ შეკრთა გაფითრებულ იორდანეს დანახვაზე, ნიჩბები მიუშვა და იორდანეს შეეგება.

—ეს რა არის უტუ?—ძლივს დაიბუხუნა იორდანემ.

—წაგიღიო... ჩემი რა ბრალია?!-

იორდანემ ტბილები დააკრაჭუნა, მუშტი შეარგალა და ცალი ხელით უტუს იკა პერანგის საყელოში..

—ამიტომ მკითხე, ცურვა თუ იცი?-დაიმიზგა იორდანე.

კომშისოდენა მუშტი მოუჭნია და ცხვირპირში ჩაახალა.

—იცურავე, თუ ვიკაკი ხარ!-სთქვა ეს იორდანემ და წყალში გადახტა...

ნაპირზე რომ გავიდა, მუხლებსა და მკლავებში მოესავდა იორდანეს. სულს ისე ითქვამდა, გიგონებოდათ ადუღებული ქვაბი ჭმინავსო. მოლზე გავიდა და გულალმა გაიშხლართა.

სული რომ ჩაიხოხინა-წამოჯდა. გულმა არ მოუთმინა და ნავს შეხედა ოარა დღეშიაო.

ბერულავა ჯერ კიდევ ნაიზე იდგა. ნავი ბორძიკობდა, დაბლა-დაბლა იწევდა... უკიბ ცხვირით გადაეშვა, გადაიბარა და ყირამალა

მარადმწვანე ბიბლიოთეკა

ბედნიერი მოხუცი

ნახ. ვ. სანაძისა

სალიტერატურო წრეების საქალაქო შეკრება

22 ივნისს მწერალთა კავშირის მასიურმა სექციამ მოაწყო ტფილისის სალიტერატურო წრეების მე-4 საქალაქო შეკრება. შეკრებამ მოისმინა ორი ძირითადი მოხსენება: ლიტერატურული წრეების მუშაობის შესახებ (მომხს. ს. წვერავა) და ახალგაზრდა ავტორების შემოქმედებაზე (მომხს. ვ. გაფრინდაშვილი).

გასულ წელს ტფილისში 12 წრე მუშაობდა. მუშაობის ხარისხით წრეები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან. ზოგი წრე სისტემატურად მეცადინეობს, ჰყავს წევრთა მუდმივი შემადგენლობა, აქვს სამეცადინო პროგრამა, მაგრამ არიან წრეები, რომლებიც რეგულარულად არ იკრიბებიან და მუშაობას სწყვეტენ სამოსწავლო წლის დამთავრებამდე. კარგად მუშაობენ პლეხანოვის სახელობის კლუბის, მასწავლებელთა სახლის, განსახკომის მოზრდილთა პირველი საშუალო სკოლის, ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკის, ვოროშილოვის სახელობის კლუბის ლიტერატურული წრეები. ასევე ნაყოფიერია მწერალთა კავშირთან არსებული რუსული ლიტერატურული წრის მეცადინეობა. მაგრამ ეს არ ითქმის 26 კომუნარის სახელობის ქარხნის, მილიციის კლუბის, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის წრეებზე, რომლებმაც მალე მიატოვეს მუშაობა და დაიშალნენ.

ამხ. ვ. გაფრინდაშვილის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მთელ რიგ წრეებს ჰყავთ წევრები, რომლებიც გარკვეულ მხატვრულ ნიჭს ამჟღავნებენ და რომლებიც წრეებში იზრდებიან და იწვრთნებიან სერიოზული შემოქმედებითი მუშაობისათვის. წრეების მონაწილე ზოგიერთი ავტორის გამოსვლამ ამ შეხედულებაზე დაადასტურა ამხ. ვ. გაფრინდაშვილის შეფასების სისწორე. მაგრამ ამავე შეკრებამ გამოამჟღავნა ზოგიერთი ხაკლიც წრეებს მუშაობაში. მასობრივ სექტორს საწრეო მუშაობის ფართოდ გაშლისათვის შესანიშნავი ბაზა აქვს. ტფილისის საწარმოებსა და დაწესებულებებში ყოველდღიურად იზრდება ინტერესი მხატვრული ლიტერატურისა და მწერლობისადმი, საჭიროა მხოლოდ სათავეში ჩადგომა და ხელმძღვანელობის გაწევა. მწერალთა კავშირის მასობრივი სექცია კი ამ მიმართულებით ვერ აკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა. სალიტერატურო წრეების როიდენობის მხრივ მეტად სტაბილური მდგომარეობა გვაქვს. ყოველ წლის დასაწყისში წრეების რიცხვი არ აღემატება 10—12-ს. წლის დამლევისათვის კი 5 - 6 წრე ძლივს რჩება.

სექციას დღემდე არა აქვს გამოუშავებული წრეების მუშაობის მთლიანი გეგმა და სამეცადინო პროგრამა, მან არ იცის, რა უნდა გააკეთოს წრემ წლის განმავლობაში. ამიტომ წრეები მუშაობენ ხელმძღვანელების მიერ გამომუშავებული პროგრამებით. ზოგი სწავლობს საბერძნეთის ლიტერატურას, ზოგი არჩევს ახლად გამოსულ კრებულებს, ზოგი იუბილეებით კმაყოფილდება და ძირითად სამეცადინო დროს წრის წევრთა შემოქმედების განხილვას ანდომებს.

სექციამ ჯერჯერობით ვერ მოაგვარა, რომ ტფილისის მთავარ საწარმოებთან და დაწესებულებებთან ყველგან მოაწყოს სალიტერატურო წრეები და ჩაბას ამ წრეებში ლიტერატურით დაინტერესებული მუშები. მართალია, ნაწილობრივ ეს იმითაც აიხსნება, რომ ადგილობრივი პროფესიონალური ორგანიზაციები ყოველთვის ვერ აქცევენ ჯერიან ყურადღებას და სათანადოდ ვერ აფასებენ სალიტერატურო წრეების მნიშვნელობას, მაგრამ ამ დაბრკოლების გადალახვა არ არის ძნელი სექციისათვის, რომ ის სისტემატიურ და ენერგიულ მუშაობას ეწეოდეს, დაკავშირებული იყოს ფაბრიკა-ქარხნების პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან და ცდილობდეს წრეების გამრავლებას და მათი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

სექცია ვერ უწევს კონკრეტულ—ოპერატიულ ხელმძღვანელობას იმ წრეებსაც კი, რომლებიც არსებობენ. ავიღოთ მაგ., ტფილისის მასწავლებლის სახლის ლიტერატურული წრე. ფაქტიურად ამ წრეში მასწავლებელთა რიცხვი მეტად უმნიშვნელოა. მეტწილად თავს იყრიან სტუდენტები, მოსწავლეები, ლიტერატურით დაინტერესებული სხვა პროფესიის პირები და სხვ. წრეში უმთავრესად იხილავენ მის წევრთა შემოქმედებითს პროდუქციას. წრე დამაკმაყოფილებლად მუშაობს, მაგრამ მისი ამ სახით არსებობა შემდეგში ყოვლად დაუშვებელია. ესევე შეიძლება ითქვას ბიბლიოთეკებთან არსებულ წრეებზე. მათ არა აკვთ მუდმივი წევრები. ერთი კაცი ითვლება რამდენიმე წრის წევრად და სხვ.

მწერალთა კავშირთან უნდა დაარსდეს ერთი შემოქმედებითი წრე, სადაც გაერთიანდება ლიტერატურული ახალგაზრდობა, სხვა წრეები კი აუცილებლად უნდა დარჩენენ ლიტერატურისა და მწერლობის აქტიური პრობლემების შემსწავლელ წრეებად. მათ მტკიცე სამეცადინო პროგრამა ექნებათ.

მწერალთა კავშირის მასობრივი სექციის მოვალეობაა — ფართოდ გაშალოს ლიტერატურული წრეების ქსელი და გააძლიეროს კონკრეტულ—ოპერატიული ხელმძღვანელობა.

რუსი პოეტები ძველ ქართულ მწერლობაში

ძველი დროის ქართულ-რუსული ლიტერატურის ურთიერთობის პრობლემებიდან ცალკე უნდა გამოვყო ლექსის „მწუხრისა ზარის“ საკითხი. ამ საკითხის ისტორია ასეთია:

ამ ორმოციოდე წლის წინად რუსმა მეცნიერმა კალინოვსკიმ გამოსთქვა აზრი, რომ რუსი პოეტის, კოზლოვის (1779 — 1840) ლექსი „Вечерный звон, вечерный звон». თარგმნილია გიორგი ათონელ ივერიელის — მთაწმინდელის (11 საუკ.) — ამავე სახელწოდების ლექსიდან „რეკა მწუხრისა ძელისა, მწუხრისა ძელისა“-ო (იხ. პროფ. ა. ხახანაშვილი.

Очерки по истории Груз. словесности, вып. II, 1897 г., — მოსკოვი.

ეს აზრი შემდეგ გაიმეორეს და გაიზიარეს პროფ. ალ. ხახანაშვილმა (დასახელებული წიგნი, გვერდი 81), ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა (იხ. ბროშურა „უკვდავთა ღაღადებანი“, გვ. 84—86, 1900 წ.) და სხვებმა. მ. ჯანაშვილმა დაბეჭდა გიორგი მთაწმინდელის ლექსი (იხ. დასახ. წიგნის 85 გვ.) და თან დაასკვნა: „კოზლოვის „Вечерный звон, вечерный звон. Как много дум наводит он“. სიტყვა სიტყვითი თარგმნილია გიორგი მთაწმინდელის ლექსიდან“-ო (გვ. 86).

ამ საკითხის გარშემო მაშინდელ (900-იანი წლების) პრესაშიაც გამოითქვა აზრი. ვინმე ა. კვერ-ძემ გაზ. „ივერიაში“ მოათავსა წერილი, სახელწოდებით „ერთი კურიოზი“ (იხ. „ივერია“, 1904 წ. № 10), სადაც დაბეჭდა „მწუხრისა ზარის“ კოზლოვისეული რუსული ტექსტი, ამავე ლექსის თარგმანი, შესრულებული პოეტ ქალის განდეგილის მიერ, და მ. ჯანაშვილისეული რედაქცია ლექსისა, რომელიც ვითომც გიორგი მთაწმინდელიდან მომდინარეობს.

ა. კვერ-ძეს დასკვნა ასეთია: „მეთერთმეტე საუკუნეში ქართველ ბერს, სწავლულს და მელექსეს, გახიზნულს სამშობლო ქვეყნიდამ, ათონის მონასტერში ლექსი დაუწერია და ასე გამოუტირია გულსაკლავი სიტყვებით თვისი სევდა და ეს სულ სხაპა-სხაპით მიაყარა:

— Петр Капанадзе хороший ученик... Взгляните болен селезенкой...

ამის გაგონებაზე ეშმაკმა პეტამ თავი კიდევ უფრო მოისაწყლა და სკოლის ზედამხედველს უმწეო თვალებით ახედა.

სოსო კი ისევ განაგრძობდა:

— Очень, очень слаб... не может заниматься... надо освободить от экзаменов...

ბელიაევს ამ გადაწყვეტილ მოთხოვნაზე ხმამაღლა გაეცინა და კმაყოფილების ნიშნად გრძელ წვერებზე ხელი ზემოდ აისვა. მერე ბავშვს ხელი მხარზე დაჰკრა და დაყვავებით უთხრა:

— Ну, раз ты ручаешься за него, я освобождаю. Пусть идет себе домой спокойно,— და წყნარი სიცილით კაბინეტში შევიდა.

— ეხლა?..—მიუბრუნდა სიხარულით თვალებგაბრწყინებული შუამავალი დოსტს ღიმილით.—ნო გითხარ! ხო გითხარ!.. იი, შენ კი ცხვირი ჩამოგეშვა!—გახარებულმა ტაში ტაშს შემოჰკრა, ცალ ფეხზე ციბრუტივით შემოტრიალებულმა ერთიც ყურის წამღებად დასჭყივლა და ეზოში გაიჭრა.

არც პეტა იდგა ფეხზე სიხარულით. სულ გადაავიწყდა თავისი ავადმყოფობა, მუხლებშიც ძალა მოემატა და გაქცეულ ბიჭს ფეხდაფეხ დაედევნა.

— ხო გავიმარჯვეთ, ჰა?..—შეეკითხა იგი, მერე შუბლი უეცრად შეეშმუხნა და ისე სთქვა თავგამოდებით:—აბა ერთი უარი ეთქვა!..—და გზა არხეინად განაგრძო.

ქვეყანაზე ტკბილი ჟრუანტელის მომგვრელი მაისის დღე იდგა, ოთახებში ჯერ ისევ გრილოდა და გარეთ გაზაფხულის მზე კიდევ უფრო სასიამოვნო იყო და სიხარულის მომგვრელი.

თეთრ-ყირმიზის ფრად აყვავებული ხილის ბაღები ძირს დაშვებულ ნისლებივით ბოყირებდნენ და აფუებული ნედლი მიწის მაბრუებელი სუნით დამთვრალნი ბრიალა მზეს ფშვენით შეჰხაროდნენ.

ცად-აზიდული სპილენძის ფერი ბორის ციხე ატმის ყვავილებში გვლეშაპის გამხმარ ყბასავით ტიტვივებდა და ქონგურებით კბილდალრჭენილი ლაჟვარდ სივრცეებს შთანთქმით ემუქრებოდა.

ᲛᲬᲘᲠᲔ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

მარტო თვითონ როდი დადიოდა იქ, მალე სხვანიც აიყოლია. თუ კარგი რამ წიგნი შეხვდებოდა, ამხანაგებსაც წაუკითხავდა და თავის შთაბეჭდილებებს იმათაც გაუზიარებდა. ხშირად მეზობლებშიაც ჩაჯდებოდა და გატაცებით უამბობდა ათას წაკითხულსა და განაგონ ამბებს. იმათაც კიდევ უფრო შეიყვარეს იგი და იმდენად ვერ ელეოდნენ, რომ თვალში ჩავარდნოდათ, ხელს არ ამოისვამდნენ. თავის ტოლებსაც ფხიზლად ადევნებდა თვალყურს, ურჩევდა იმათაც ხშირად ეარათ კალენდაძის წიგნის მაღაზიაში, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ეკითხათ და ამ ცხოვრების ავანჩავანი იმათაც გაეგოთ.

ერთხელ პეტა კაპანაძე გახურებული რომ ლახტაობდა, ამ დროს, საიდან არ იყოს, სოსოც იქვე გაჩნდა, ბიჭს მხარში ხელი ჩაავლო და ცალკე გაიყვანა.

— შენა, რატო იმ არსენასთან არ დადიხარ, ჰა?..—შეეკითხა იგი შუბლ-შეკრულად.

თამაშობით შეხურებულ ბიჭს სახე უეცრად გაუფითრდა, ერთი პირობა დაიბნა კიდევაც, მაგრამ მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ გამოუტყდა:

— საფანელი შემომაკლდა და იმიტომა...—და მერე ერთბაშად მიახალა:—შაური მებევრება, სოსოჯან, და რა ვქნა?

იმ დღეს გაკვეთილები დასრულდა თუ არა, სოსო კალანდაძესთან გაიქცა და წიგნით სარგებლობის ფასი შაურიდან ორ კაპეიკზე ჩამოატანინა.

ყველაზე მეტად მას მაინც რაინდული ამბები მოსწონდა, მაგრამ ამ გატაცებამ ბოლოს თანდათან გაუარა და მალე თვითონვე დაატყო თავის თავს, რომ რამდენიც მეტს კითხულობდა, თვალები იმდენად უფრო და უფრო ეხილებოდა,—ხედავდა საკუთარ გაჭირვებას, ირგვლივ გამეფებულ სიღარიბეს, ბეჩავობას და ცდილობდა ამგვარ მდგომარეობიდან რაიმე გამოსავალი მოენახა. სულ იმ პირთა და გმირთა საქმეებს იკვლევდა, რომელთაც ქვეყნისთვის დაედოთ თავი. ნატრობდა, რომ ისიც როგორმე მალე გამხდარიყო ხალხისათვის სასარგებლო კაცი და მით ამ დუხჭირი ცხოვრებით დაჩაგრულთა და დამცირებულთა მძიმე ხვედრი შეემსუბუქებინა. ამ მიზნით ის ჯერ სოფლის მასწავლებლად აპირებდა წასვლას, მაგრამ აზრი მალე შეეცვალა.

ერთ დღეს ის სკოლაში ძალზე აღელვებული მივიდა და დრახნის მტკიცე გადწყვეტილებით განუცხადა:

— იცი, დრახნი, სწავლას რომ მოვრჩები, ხალხს უნდა ვემსახურო!

— რათა?—გაკვირვებით შეეკითხა ამხანაგი.

— რათა და მათა!..—მოუჭრა სიტყვა სოსომ,—აბა დახე, რა ყოფაშია საწყალი გლეხობა!...—და ამ სიტყვებით დანიელ ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხე“ გადაუშალა.

ასეთი იყო იგი. დღეს მგოსნობა უნდოდა, ხვალ მწერლობა და ზეგ ვინ იცის რა. ნორჩი იყო, დაუდეგარი და ცხოვრებაში გარკვეული გზა ჯერ ვერ ეპოვნა. ყოველ დღე იზრდებოდა, ვითარდებოდა, მაგრამ აზრის მიმართულება მუდამ ერთი ჰქონდა: დამაშვრალთა და ტვირთმძიმეთა სამსახური და იმათი საქმისათვის თავის გაწირვა.

წიგნის კითხვასთან ერთად არც გაკვეთილებს ივიწყებდა და სულ იმ ოცნებაში იყო, რომ აი, საცაა პირველ კლასში გადავა და ამ „ადელანიებსაც“ მოშორდება. განყოფილება აბა სადაური კლასია? კლასი აი იმასა ჰქვია: პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მერე... სემინარია და მისი ჯანი.

და, აი, წლეულს, როგორც იქნა, ეს ნატვრაც შეესრულდა, მისი ამხანაგები ყველა პირველ კლასში გადასასვლელ ეგზამენებს აბარებდნენ და ის კი, როგორც წარჩინებული მოწაფე, უგამოცდოდ გადავიდა, მაგრამ ეს სიხარული იმითი უნახევრდებოდა, რომ ასეთ დროს იმისი დოსტი პეტა კაპანაძე ნაღვლათი გახდა ავად. ორ კვირაში სულ ჩამობმა საწყალი ბიჭი, სანთელივით გაყვითლდა და იმდენად დასუსტდა, რომ მეცადინეობის თავი არა ჰქონდა. სხვა გზა რომ აღარ იყო, პეტამ სკოლის გამგეობას არზა მიართვა, რათა ავადმყოფობის გამო გამოცდებისაგან გაენთავისუფლებინათ, მაგრამ თხოვნამ არ გასჭრა,—ცივი უარით გამოისტუმრეს უკან.

სოსო დიდად დაჯავრიანდა ასეთი უსამართლობით, თან გულიც სწყდებოდა, რომ მისი გულითადი დოსტი ისევ „ტარშში“ რჩებოდა და ეს ამდენი ხნის მეგობრები ახლა ერთურთს უნდა განშორებოდნენ. ბევრი იფიქრა, ივარაუდა, თუ რა გზით დახმარებოდა გასაჭირში ჩავარდნილ მეგობარს და ბოლოს იმ აზრს დაადგა, რომ ისევ თითონ წაჰყოლოდა სკოლის ზედამხედველ ბელიაევთან და შეხვეწნოდა,—ვინ იცის, ცდა ბედის მონახევრეა და იქნებ რამე გამოსულიყო.

ბელიაევი გულლმობიერი და ტკბილი კაცი იყო. იგი არაფერით არა ჭგავდა რუსეთიდან გამომწესებულ პედაგოგებს, რომელნიც გადაცმულ ჟანდარმებს უფრო წარმოადგენდნენ, ვიდრე მასწავლებლებს.

სოსომ იცოდა, რომ მას იგი გამორჩევით უყვარდა. ამიტომაც ბევრი არ უყოყმანია, მაშინვე ავადმყოფ ამხანაგთან ჩაირბინა და, ლოგინში მწოლარე რომ დაინახა, იმედის მომცემი გაადვილებით შეუტია:

— ეე, რა მხარ-თეძოზე წამოწოლილხარ?.. ადე, ბელიაევთან წავიდეთ, ვთხოვოთ, იქნებ შენი საქმის რამე გამოვიდეს!..

პეტას ამ თანაგრძნობით გული ამოუჯდა და თვალებში მომდგარ ცრემლების დასამალავად პირი კედლისაკენ შეიბრუნა, მაგრამ სოსოს ციმციმა თვალებს აბა რას გამოაპარებდა! იმასაც ცრემლი მოერია და, ამხანაგს გუმანი რომ არ აეღო, განზრახი უკმეხობით მიაძახა:

— ადე მეთქი, ჭო!.. შენ წამომყე და დანარჩენი ჩემზე იყოს!

პეტრე მაინც არა შვრებოდა:

— სულერთია, არა გამოვა რა, სოსოჯან, და რათ უნდა წამოვიდე?

— მე კი გეუბნები, გამოვა მეთქი!..—არ იშლიდა იგი თავისას და, მანამ არ მოუსვენა, სანამ ლოგინიდან ძალისძალათ არ ააყენა და თან არ წაიყვანა.

მალე სკოლაშიც მივიდნენ. ბელიაევი დერეფანში თავისი კაბინეტის წინ რაღაცაზე დაფიქრებული იდგა. მის დანახვაზე სოსომ ამხანაგს ხელი ხელში ჩაავლო და მისკენ გაემართა.

—Здравствуйте Василий Акинфиевич!

— მიესალმა იგი უფროსს თამამად და თან ამხანაგს მკლავში მაგრად ჩაბღუჯულ ხელს არ უშვებდა.

ბელიაევმა ალერსიანი ღიმილით დახედა, სალამი თავაზიანად ჩამოართვა და ალერსიანადვე მიუგო.

— Здравствуй!... და მერე: — ну, что тебе? — შეეკითხა.

სოსოსაც ეს უნდოდა, მაშინვე თავისი სკოლაში ნასწავლი რუსული

გორკის ხსოვნის საღამო მწერალთა სასახლეში

20 ივნისს დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის ხსოვნის აღსანიშნავად მისი დაღუპვიდან ორი წლისთავის შესრულების გამო შესდგა მწერლებისა და ლიტერატურული ორგანიზაციების თანამშრომელთა საერთო კრება.

შესავალი სიტყვით კრება გახსნა ამხ. ს. ეულმა.

შემდეგ კრება ისმენს ამხ. ბესო ჟღენტის მოხსენებას მაქსიმ გორკის შემოქმედებაზე. მსოფლიოში არც ერთი მწერალი არ არის ისე ორგანიულად მთლიანი, — ამბობს იგი, — თავისი პირადი ცხოვრებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით და ლიტერატურული შემოქმედებით, როგორც მაქსიმ გორკი. თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე მოახმარა მან მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეს, ედგა რა დარაჯად მის ინტერესებს, როგორც დიდი მხატვარი და პუბლიცისტი. რუსეთის ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა არც ერთი სოციალური ფენა, რომელიც სისრულით გამოხატული არ იყოს მაქსიმ გორკის ნაწარმოებებში. დიდი საზოგადოებრივი საკითხები და ღრმა სოციალური პროცესები მაქსიმ გორკის ასახული და გადაჭრილი აქვს პროლეტარული მწერლის თვალსაზრისით. გორკის ნაწერები მუდამ დარჩება მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებად, რადგან მათში თანამედროვეობა უძლიერესი მხატვრული ძალით არის დახატული. გორკის ნაწარმოებებს ეს გარდაუვალი მნიშვნელობა მოუპოვა იმ გარემოებამ, რომ იგი იყო მგზნებარე პოლიტიკური მებრძოლი, რომელმაც თავისი შემოქმედება დაუკავშირა ბრძოლას მუშათა კლასის და მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის.

გორკისაგან, — ამბობს ამხ. ჭიაჩელი — ჩვენ უნდა ვისწავლოთ შეთავსება მწერლისა და მოქალაქის მოვალეობისა, რომელიც მწერლობას უქვემდებარებს მშრომელი ხალხის ინტერესებს და დიდ საზოგადოებრივ ამოცანებს.

გორკის შემოქმედების დიდს აღმზრდელობითს მნიშვნელობაზე ილაპარაკა ამხ. ალ. ჭეიშვილმა.

დასასრულ გორკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს **ალ. აბაშელმა, ს. ხიდისთაველმა, ვ. გაფრინდაშვილმა** და **სანდრო ეულმა.**

ქართველი პარტიზანი — ჭანდაკება (სადიპლომო შრომა) გ. ჯანტურიასი

„ძახილი მთაში“

21 ივნისს მწერალთა სასახლეში მოეწყო დისკუსია ი. ლისაშვილის რომანის „ძახილი მთაში“-ს შესახებ. მოხსენება გააკეთა პროფ. **გ. თავზიშვილმა.**

მოხსენების შესავალ ნაწილში ამხ. თავზიშვილი მოკლედ ეხება ი. ლისაშვილის შემოქმედებითს გზას და აღნიშნავს, რომ იგი, როგორც მწერალი, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩამოყალიბდა. თავის შემოქმედებაში იგი ყოველთვის აქტუალურ თემებს ეხება. თავის უკანასკნელ რომანში — „ძახილი მთაში“ ლისაშვილი გვიხატავს საბჭოთა სოფელს და მის ფონზე გაშლილ კლასობრივ ბრძოლას. რომანის ამ ნაწილში ფართო ადგილი აქვს დათმობილი კოლმეურნეობის ცხოვრების ასახვას. გლეხის შეგნების გარდაქმნა და კოლმეურნეობის ზრდა, — აი რა არის რომანის ცენტრში მოქცეული. ამ თემის დამუშავებისას ლისაშვილს რომანში აქვს მთელი რიგი ძლიერი ადგილი.

როგორც ვიცით, ავტორს რომანის დაწერა განზრახული აქვს რამდენიმე წიგნად. ჯერჯერობით გამოქვეყნებულია მხოლოდ პირველი წიგნი. ჰუმანიზმის პრობლემა, რომელიც, ჩვენის აზრით, ამ რომანში უნდა გაიშალოს, ამ ნაწილში შედარებით მკრთალად არის მოცემული. მიუხედავად მთელი რიგი დადებითი მხარეებისა (ფაბულის საინტერესოდ განვითარება, დრამატიზმი და სხვ.), რომანს ახასიათებს სუსტი მხარეებიც: არ არის მოტივირებული მთელი რიგი მომენტები (ნოდარის დატუსაღება, ნოდარის და ეთერის სიყვარული, განხეთქილება მათ შორის და სხვ.). შედარებით მკრთალად არის დახასიათებული რომანის ზოგიერთი მომქმედი პირი. ზედმეტია რომანისათვის, არა რეალურია ონოფრე. რომანში მას არა აქვს თითქმის არავითარი ფუნქცია. ლისაშვილი გატაცებულია სახეებითა და შედარებებით, მათ ხშირად ხმარობს იქაც კი, სადაც ეს სრულებით არ არის საჭირო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ლისაშვილი თავის რომანში ნაკლებ ყურადღებას აქცევს ენობრივ მხარეს და ამიტომ არის, რომ ნაწარმოებში ამ მხრივ დაუშვებელი ლაპსუსებია.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს **ამხ. ვ. გაფრინდაშვილმა, ს. თავაძემ, ი. ვაკელმა, ბ. ულენტმა, დ. კასრაძემ** და **პ. ცინცაძემ.**

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ „ძახილი მთაში“ ი. ლისაშვილისათვის წარმოადგენს შემოქმედებითს წინსვლას. რომანს ახასიათებს სუსტი მხარეებიც: ავტორი ხშირად ვარდება მრავალსიტყვაობაში, ზოგჯერ იმის მაგივრად, რომ მოვლენა გვიჩვენოს, იგი მას „განყენებულად“ აგვიწერს. თავის შემდგომ შემოქმედებითს მუშაობაში ლისაშვილმა უნდა დაძლიოს ეს სუსტი მხარეები.

„კოღმეურნის ქორწინება“

ამ რამდენიმე დღის წინათ დრამატურგთა სექციის სხდომაზე, რომელსაც დრამატურგებს გარდა სხვა ჟანრის მწერლებიც დაესწრნენ, პოლ. კაკაბაძემ წაიკითხა თავისი ახალი კომედია „კოლმეურნის ქორწინება“.

კომედია დიდის ყურადღებით და შეუნელებელი ინტერესით იქნა მოსმენილი, რაც მოწმობს მის არა მარტო სცენიურ, ამედ უდაო ლიტერატურულ ღირსებას. კომედიის გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა - გამოცვლის დროს (რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ზენაშვილმა, თავაძემ, გაწერელიამ, წულუკიძემ, ჭეიშვილმა, ვაკელმა, მთვარაძემ, ულენტმა და სხვ.), პირველ ყოვლისა, მწერლებმა აღნიშნეს ის, რომ ავტორი ზედმიწევნით იცნობს იმ მასალას, რომელიც მას გამოუყენებია. სწორედ ეს აძლევს ავტოროს საშუალებას, შექმნას ჩვენი დროისთვის დამახასიათებელი ადამიანების სავსებით ხორცსხმული სახეები ტიპიურ რეალურ გარემოცვაში. ავტორს საბჭოთა სოფლის სინამდვილე წარმოდგენილი აქვს ისე, როგორც ჩვენ მას ვხედავთ. კომედიაში ეს სინამდვილე არ არის არც გაყალბებული და დამახინჯებული და არც ხელოვნურად შელამაზებული. ძველი ადამიანები ახალ ვითარებაში, მდგომარეობა იმ ადამიანისა, რომელიც ძველი შეხედულებებით ცხოვრობს, რომელიც ვერ გარკვეულა ცხოვრებაში და ახლაც ცდილობს ძველებური საშუალებებით უშრომლად და გაურჯელად გამონახოს სასსარი უზრუნველი და უდარდელი ცხოვრებისათვის,—აი რა აქვს ძირითადად მოცემული ჰ. კაკაბაძეს თავის პიესაში. ავტორს საბჭოთა მწერლის საღი თვალით აქვს დანახული და ასახული საკოლმეურნეო წყობიოობით გამოწვეული ის ღრმა პროცესი, რომელმაც შრომა და მშრომელი დიდ მორალურ სიმაღლეზე აიყვანა, მშრომელი ქალი ნამდვილად გაუთანასწორა მამაკაცს, მოუპოვა მას დამოუკიდებლობა და საყოველთაო პატივისცემა. დრამატურგი ამ კომედიაშიაც სჩანს როგორც დიალოგის დრამატული ხელართის. გაკვანძის და მისი გახსნის შესანიშნავი ოსტატი, რომელიც მომქმედ პირთა ყოველ ქცევასა და რეპლიკას ერთად-ერთ დანიშნულებას აძლევს გამოავლინოს გმირთა ინდივიდუალობა, შექმნას დამაინტერესებელი მწვავე სიტუაციები, ხელი შეუწყოს მოქმედების ბუნებრივ განვითარებას.

ლიტერატურული არქივი

გრიგოლ ორბელიანის წერილი

ჩემო გულით საყუარელო დისწულო სალომე![1] შენი წერილი, ქართულად დაწერილი, წინ მიძევს, შევჰხარი და სიხარულით ვამბობ: ქუეყანაზე მხოლოდ ერთია სალომე, რომლისა წერილსა აწ ვჰკითხულობ მეორმოცედ! ვჰკითხულობ და მიძნელდება, როგორ გითხრა, ანუ ჭეშმარიტი მადლობა ჩემის ხსოვნისათვის, და ანუ მართალი, წმინდა, შენდამო სიყვარული! ღთ-მან გაკურთხოს შენცა და შენი არჩილცა,[2] და ჰყოს მან სიცოცხლე თქუენი ისე მხიარულ-ნათლად, ვითარცა შუქი მაისის დილისა!

მეტად მანუგეშე შენის ქართულის ენითა ჩემო მშვენიერო სალომე! და აბა, როგორ არა ვჰსთქვა სიმწარითა: პარიეელსა უნდა უყუარდეს ქართული ენა, უნდა იგი ჰცდილობდეს მის შესწავლასა, და საქართველოში კი ქართველნი ქალები უარსჰყოფდენ ქართულს ენასა, და შეურაცხებით, ტუჩებ-აშვერით ამბობდენ „რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა!“ ეს სიტყუები ცხადად გამოაჩენს აწინდელს საზოგადოების სამწუხაროს მდგომარეობასა, მის უმეცრებასა, გზის დაკარგუასა. **ვისაც არ უყუარს თავის სამშობლო ენა, მას, უეჭველია, არ უყუარს თავის მშობელნიცა, თავის წინაპარნიცა, თავის მამულიცა! ენა არის შემნახველი მამა პაპის ყოფა-ცხოვრებისა,** მათის სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია! თუ კაცმა არ იცის მამა--პაპის ენა, მაშ, როგორ უნდა იცოდეს, ვინ უყურნენ მის მამაპაპები, როგორ ჰსცხოვრობდენ, რას ლაპარაკობდენ, რას იმღერიდენ, რა უხაროდათ, რასა ჰსწუხდენ? ათასის წლის განმავლობაში, როგორ ებრძოდა ეს პატარა საქართველო სპარსთა, არაბთა, ოსმალთა, იმ მტრებსა, რომელთაცა აწ ებრძვის დიდი იმპერატორი დიდის რუსეთისა და უძნელდება ბრძოლა?— რომელი ისტორია მოგითხრობს ესრეთსა უმაღლესსა სარწმუნოებასა და მამულის სიყუარულსა, როგორცა გამოაჩინეს საქართველოს უკანასკნელთა მეფეთა, ირაკლიმ და გიორგიმ, რ-თაცა თავის ნებით, თავის სურვილით დასთმეს თავის სამეუფო ტახტი, თავის შვილები და მისცეს თავის სამეფო რუსთ ხელმწიფესა, ოღონდ კი იცხოვროს საქართველომ მშვიდობიანად! სპარსელებმა ქეთევან დედოფლის გულზე ცეცხლი აანთეს და ისე ტანჯვით მოკლეს, და არ უარყო მან ქრისტიანობა! განა ამისთანა ერის ენა და ისტორია არ არის ღირსი შესწავებისა ქართველთა ქალებთაგან? და თუ მოვიგონებთ ძველთა მწერალთა, მელექსეთა, ღთ-ის მეტყუელთა, მქადაგებელთა, — მერწმუნე, ჩემო სალომეე, ქართული ენა არ არის ისე დავრდომილი, როგორცა ჰგონიათ ეხლანდელთა ინსტიტუტკებსა, და ამისათვის დაგიკოცნი შუბლსა, რომ შენ ხარ პირველი მაგალითი ქართულის ენისა სურვილით სწავლისა. უწინაც ჩუენი ქალები იყუნენ დიდად ქებულნი ენის ცოდნითა, და მათგან ბევრნი იყუნენ დიდნი ორატორნი, ვ-ა. ბატონისშვილები, ქეთევან, მარიამ, თეკლა![3] ესენი განვიდნენ ამა სოფლით და ახლანდელთა არც კი იციან საფლავნი მათი; არც კი იციან, თუ ვისა მადლით და წყალობით ასე გულმოსვენებით, კეკლუცობით, სეირნობენ ბოლოვინის პროსპექტზე შლეიფებგაშლილნი! — საფლავნი მეფის ირაკლისა და გიორგისა აღარ იციან, სად არის!—უბადრუკებმა აღარ იციან რომ ამათი დედები იყუნენ დედუფლები ზრდილობისა, სილამაზისა, მაღალის გონებისა, და ამასთანა ხასიათით მამაცნი, თავგანწირულნი მამულისათვის! — მაგრამ ახლა ვჰხედავ, რომ ამ წერილში წაველ ძალიან შორს, და უნდა მომიტევო, რადგანაც ვჰსჩივი შენ წინაშე აწინდელის საზოგადოების მიმართვაზე.

ძალიან მიამა, რომ **თამარ მეფის ხახე ბეთანიაში** მოგწონებიათ ეკატერინასაცა[4] და შენცა, რადგანაც უნდა მოგახსენო, რომ მე გახლავარ იმ ლექსების დამწერი, და ცენზურამ ზოგიერთისა მათში დაბეჭდვა არ ინება, და აი სწორე, ნამდვილი მომირთმევია ჩემ სახსოვრად. — სიბერემ წამართო, წაიღო პოეზიის ძალი, მაგრამ ვეცდებიკი, თუ შევიძელ მოვაკენკო როგორმე და გადავთარგმნო შენი საყუარელი ლექსები: ოღონდ კი უნდა მომითმინო.[5]

ომიანობისაგან[6] ისე ვართ მიტაცებულნი გულით, ფიქრით, რომ სხუაზედ ვეღარა გვილაპარაკნია, ყოველ დღით მოველით გამარჯვებასა და არ იქნა, და ამ მოლოდინებამ დაგუტანჯა, მოთმინება აღარ არის. ყოველს საღამოს ჩავდივარ ტასო ოკლობჟიოსას[7], იქა ვჰსწლით ქაღალდსა, **ჰასიანსა,** სულ ერთსა და იმავე საგანზე: „დავამარცხებთ, თუ არა, მუხტარ ფაშას?“[8] და იფიქრეთ ჩუენი წყენა და შეწუხება, რომ ერთხელაც არ გამოგვივიდა გამარჯვება, და ამაზე მე და ტასოს ხშირად მოგვდის ჩხუბი.

ველიკიი კნიაზი[9] ბრძანდება ალექსანდროპოლში; იმას ახლავან მირსკი და პავლოვი, ველიკიი კნეინა ბრძანდება ბორჯომს, სადაცა გააჩინა თავის საკუთარი, მშვენიერი ღოშპიტალი დაჭრილებისათვის. — ღთ-მან უშველოს!

ჩემი ძმისწული, ლეიბგუსარი, პორუჩიკი გიორგი[10] იმყოფება ღლავნის კორპუსში, ჰყავს ახოტნიკების სოტნა, და ძალიან მაშინებს მომატებულის გიჟურად ვაჟკაცობითა; აქედან მე ვუჯავრდები, მაგრამ რა გამოვიდა? [illegible] ძალუა-ბარონკა[11] არის ალექსანდროპოლშ[illegible] ახლოს არის თავის შვილზე.

დუნაიზედაც შეჰსდგა ბრძოლა, და თუ ღენერალ ღურკომ[12] გაჰსძლო კიდევ ცოტას ხანსა, მაშინ კი დიდი გამარჯვება უეჭველი. და იქნება შერიგებაც მაშინ მოხდეს. ღთ-მან ინებოს! ვერ წარმოიდგენ, რაოდენს საზიზღარ უსჯულოებას ჰშვრებიან ოსმალები: ყმაწვილებს, დედაკაცებს, ჰხოცავენ უწყალოდ და ჰყრიან ცოცხალთა ცეცხლში! ვინ იცის რაოდენი ათიათასი სული, სოფეხნი, ამგუარ ტანჯვით დახოცეს, ევროპიისათვის არ არის დიდი დიდება, რომ ოსმალები სტამბოლში ასე ბარბაროზულად ბატონობენ ქრისტიანებზე, მაგრამ რუსების შურითა და მტრობითა, ანგლიის მინისტრები არა ჰხედავენ ესოდენს ქრისტიანების სისხლის ღვრასა. — აზიის ტურციაში იქნება მალე მთლად ქრისტიანობა ამოჰსწყდეს! რათა? რისთვის? რა დანაშაულობა აქუსთ?

არ მეგონა, რომ ეს წერილი ასე გაგრძელდებოდა. აი როგორი სასიამოვნოა თვით მოუწყვეტელი შენთან საუბარი!

ჩემს მარადის მოწყალეს საკუთარს მეფას, დედუფალს, დას, თვალის ჩინს, ეკატერინას სიხარულით მოვახსენებ ჩემს ჭეშმარიტსა და ულრმესსა პატივისცემასა და სიყუარულსა. ჩემ მაგიერ შენს ლამაზს არჩილს სიყუარულით მოეხვევე და ლაზათიანად ჩაჰკოცნე შუბლი, თვალები, გული, და იყოს ღთი მარადის მფარველი თქუენი.

ქალო, ახლა რამდენის შვილების დედა ხარ და რა ჰქვიანთ სახელად, და ან მაგათი კარტოჩკები სად არის?

თუ ნახო ბიძა შენი კონსტანტინე,[16] ჩემი საყუარელი გულით მეგობარი, განუცხადეთ ჩემს ვულში დანერგილი გრძნობა ძმობისა და მეგობრობისა მისდამი.

შენიშვნები:

[1]) **სალომე** — სალომე გრიგოლის მთავრის დავით დადიანის (გარდ. 1853 წ.) ასული (დაიბ. 1847 წ.), პრინც მიურატის მეუღლე.

[2]) **არჩილი** — სალომე მიურატის ვაჟი.

[3]) **ბატონიშვილები ქეთევან, მარიამ, თეკლე** — პოეტი ქალები. დაწერილებით მათს შესახებ იხილე **ლ. ასათიანის** წიგნში **„ძველი საქართველოს პოეტი ქალები“** (თბილისი 1936 წ.) **ეკატერინე** — ეკ. ჭავჭავაძე-დადიანისა სამეგრელოს ეჭს-დედოფალი (1816—1882), დედა სალომე მიურატისა.

[4]) ეკატერინეს ეძღვნება გრ. ორბ-ის ცნობილი ლექსი — „წინანდლის ვარდო“.

[5]) გამოურკვეველია, რომელი ლექსების თარგმნაზე ლაპარაკობს გრ. ორბელიანი.

[6]) **გრ. ორბელიანი** გულისხმობს ცნობილ თურქეთის ომს (1877—1878 წ. წ.).

[7]) **ტასო ოკლობჟიო** — ანასტასია კონსტანტინეს ასული ორბელიანი-ოკლობჟიო (1830—1884), გენერალ ივანე დიმიტრის ძე ოკლობჟიოს (1818—1880) მეუღლე. გრ. ორბელიანის მეგობარი.

[8]) **მუხტარ ფაშა** — თურქთა არმიის მეშირი (მთავარსარდალი) მცირე აზიაში, 1887 წლის რუსეთ-თურქეთის ომში.

[9]) იგულისხმება **დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზოვიჩი,** მეფის ნაცვალი კავკასიაში 1862—1881 წლებში. მთავარსარდლობდა ჯარებს თურქებთან ომში, 1877—1878 წ. წ. 1877 წლის 3 ოქტომბერს დაამარცხა და შემდეგ დაატყვევა კიდიც მუხტარ-ფაშას არმია ალიჯანის მწვერვალებზე, ხოლო იმავე წლის 6 ნოემბერს იერიშით აიღო ქ. ყარსი.

[10]) **გიორგი**—ილია ორბელიანის (1814—1853) ვაჟი (დაბ. 1853 წ.), გრიგოლის ძმისწული.

[11]) **ვარინკა** — გრიგოლის რძალი, ილია ორბელიანის ქვრივი — ბარბარე, ილია ბატონიშვილის ასული.

[12]) **კონსტანტინე** — კონსტ. დადიანი (?) (მასალა ამოღებულია **აკ. გაწერელიას** რედაქციით დამუშავებულ გრიგოლ ორბელიანის „წერილები“-ს მე-3 ტომიდან).

„ენგური“ ეკრანზე

ორდენოსანმა პოეტმა ა. მაშაშილმა დასწერა კინო სცენარი თავისივე პოემა „ეგეურის“ მიხედვით. სცენარი მიღებულია დასადგმელად და მოკლე ხანში დაიწყება მისი გადაღება.

ოპერა „კაკო ყაჩაღი“

კომპოზიტორი ა. ანდრიაშვილი სწერს ოპერა „კაკო ყაჩაღს“. ლიბრეტო შედგენილია ილია ჭავჭავაძის ამავე სახელწოდების პოემის მიხედვით.

ოპერა სამი აქტისაგან შესდგება. ორი აქტი კომპოზიტორმა უკვე დაასრულა და მოსმენილ იქნა მუსიკოსთა ფართო წრეში. ოპერამ მიიღო დადებითი შეფასება და იგი მომავალ სეზონისათვის თავის რეპერტუარში შეიტანა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა.

კომპოზიტორი ანდრიაშვილი ოპერას მთლიანად დაასრულებს მიმდინარე წლის შემოდგომისათვის.

ფონეტიკის პირველი სახელმძღვანელო ქართულად

პროფ. გ. ახვლედიანი—„ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“, I. ტფ. უნივერს-ტის გამოცემა, 1938 წ.

პროფ. გ. ახვლედიანი საბჭოთა ექსპერიმენტალური ფონეტიკის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შრომები უმთავრესად გამეკუთვნება ქართულ ბგერებს (აგრეთვე ოსურს, რომლის ფონეტიკურ შესწავლას მან რამდენიმე შრომა უძღვნა). ეს წიგნი წარმოადგენს იმ დიდი მუშაობის შედეგს, რომელსაც ავტორი აწარმოებს ზოგადი ფონეტიკის საკითხების გარშემო.

ფონეტიკა ენათმეცნიერების ერთი მთავარი დარგია იგი შეისწავლის სამეტყველო ბგერას, ენამდისოდაც ბგერითი ენის არსებობა წარმოუდგენელია. ყოველი სამეტყველო ბგერა ადამიანისათვის გასაგები შეიქნა მაშინ, როცა შესაძლებელი გახდა მისი გამოყოფა მეტყველების საერთო პროცესიდან. მეტყველების ბგერითი ხასიათის შესწავლას, ისე რომ ზუსტად განისაზღვროს ფონემების რაოდენობა ამა თუ იმ ენაში, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული წერის შექმნა. აქედან აშკარაა, რომ სამეტყველო ბგერების შესწავლას ჭირნოლ და აქვს უდიდესი მნიშვნელობა ენის, როგორც ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალების, ამ ურთიერთობის უფრო ბასრ იარაღად გადაქცევისათვის.

წიგნის შესავალ ნაწილში ავტორს განსაზღვრული აქვს ფონეტიკის საგანი და მეთოდი. მისი აზრით, „ფონეტიკის შესწავლის საგანია სამეტყველო წარმოთქმა-გაგორება“ ამის მიხედვით ფონეტიკა, როგორც მეცნიერება ენაში არსებულ ბგერების შესახებ, შეისწავლის „მხოლოდ ისეთ ბგერებს, რომლებიც წარმოთქმება ადამიანის მიერ სიტყვაობრივ მთლიანობაში იმ მიზნით, რომ ადამიანმა იქნის მსმენელი ადამიანისაგან მიერ მათ შორის გარკვეული სოციალური ურთიერთობის, ურთიერთგაგების შესაქმნელად“, ე. ი. ფონეტიკა სწავლობს სამეტყველო ბგერას ანუ ფონემას.

წიგნში ცალკე (პირველ) ნაწილად არის გამოყოფილი ფიზიკური ფონეტიკა, რომელიც შეისწავლის სამეტყველო ბგერას როგორც ფიზიკური მოვლენის არსებობის ბუნებისმეტყველურ პირობებს: ანატომიურს (ფონეტიკური ანატომია, გვ. 19-30) ფიზიოლოგიურს (ფონეტიკური ფიზიოლოგია გვ. 31-51) და აკუსტიკურს (ფონეტიკური აკუსტიკა (გვ. 52—73). მეორე ნაწილი სოციალური ფონეტიკაა, რომლის ამოცანად ავტორი სახავს: სამეტყველო ბგერისა და მისი სოციალური ფუნქციის ურთიერთ-ურთიერთ-ურთიერთ-